ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

18 — 19 მაისი, 2013 | №116 (6117) | ფასი: 30 თეთრი

14 მაისიდან!
„ახალი თაობა“ +
ილია II
ოქროს ხანა
8 ლარი
სამტომეულის მეორე ტომი

დიდი ცემა-ტყეპა რუსთაველზე

გვ.3

მეუფე იაკობი: „დღეს ყველამ შინაგანად სიკვდილის შიში გადალახა!“

ბასილ მკალავიშვილის მრევლი აქციაზე ჭინჭრებით აღჭურვილი მივიდა

გვ.4

ნინო ბურჯანაძე: „გიგა ბოკერიამ მითხრა, მოგიწევთ, შეეგუოთ, რომ საქართველოში გეიალლუმები იქნებაო“

გიგა ბოკერიამ სასულიერო პირების დაჭერა მოითხოვა

გვ.4

მეუფე იაკობი: „ჭკვიანად იყვნენ, თორემ ერთხელაც იქნება, ერი არ აპატიებს“

გვ.2

თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილი საქართველოს რუსეთისკენ მიაქანებს“

გვ.6

გიორგი მარგველაშვილი: „საქართველოში ნებისმიერი აზრის გამოხატვა დაცულია“

გვ.3

ISSN 1987-9385

9 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
ფროიდი
8 ლარი



გიგა ბოკერიამ სასულიერო პირების დაჭერა მოითხოვა

შორენა მარსაგიშვილი

რუსთაველის გამზირზე დატრიალებულ ცემა-ტყეპას ძალიან მალე გამოეხმაურა

გიგა ბოკერია. უშიშროების საბჭოს მდივანი მომხდარით შეშფოთებული და აღშფოთებული იყო. ასეთი აღშფოთებული ბოკერია ალბათ არავის უნახავს. ის იმდენად გაბრაზებული გახლდათ, რომ ღიად მოითხოვა რამდენიმე სასულიერო პირის დაპატიმრება.

ეს ამბები 1 ოქტომბრის არჩევნებამდე რომ მომხდარიყო, რამდენიმე მღვდელს, ალბათ გუშინვე დააკავებდნენ. ნაციონალები ისეთივე სადამსჯელო ოპერაციას ჩაატარებდნენ, როგორც 2004 წლის მარტში. ალბათ ყველას გაქვთ მამა ბასილ მკალავიშვილის დაჭერის და გლდანის ეკლესიის დარბევუს კადრები ნანახი.

გუშინდელ დღეს გიგა ბოკერიამ მთელი საქართველოსთვის სამარცხვინო და საგანგაშო დღე უწოდა.

– ეს სამარცხვინო და საგანგაშო დღეა მთელი საქართველოსთვის, ქართული საზოგადოებისთვის. სიძულვილით აღსავსე მოძალადეები, რომლებიც ჩვენ ვიხილეთ, რომლებიც სასტიკად არბევდნენ ადამიანებს, რომლებსაც სურდათ, ძალადობის წინააღმდეგ პოზიციის დაფიქსირება, საქართველოში თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის მტრები არიან. ისინი არიან დამნაშავეები და უნდა იყვნენ დასჯილები. მიუხედავად იმისა, რომ მე ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი, თუ როოგრ დაიგეგმა პოლიციის მოქმედება, ეს კრიტიკა რიგით პოლიციელებს არ ეხებათ, რადგან მათ მართლაც სცადეს, რომ ეს ძალადობა გაეჩერებინათ, თუმცა დაგეგმვა იყო ძალიან ცუდი. პოლიციას აქვს სრული სამართლებრივი უფლება და მხარდაჭერა ჩემგან, რომ ამ სამარცხვინო მოძალადეების წინააღმდეგ, რომლებმაც დღეს ეს საშინელება ჩაიდინეს, ყველა ლეგიტიმური მეთოდი გამოიყენოს, მე არ ვიცი, თუ როგორ ხდებოდა პოლიციელთა მოქმედებების დაგეგმვა, თუმცა ყურდღებას მთავარ პრობლემაზე გავამახვილებ. აი, ამ კრიმინალი მოძალადეების გარდა, მთავარი პრობლემაა ის, რომ ნაწილი ამ ხალხისა, მათი ლიდერი გათავისუფლებულები იქნენ, როგორც გმირები ე.წ. პოლიტპატიმრები რუსეთის ჯაშუშებთან ერთად. იმის თქმა კი არ მინდა, რომ ამგვარი სიძულვილის ჯგუფები ადრე არ არსებოდნენ, ეს არ არის ახალი ხელისუფლების შექმნილი პრობლემა, მაგრამ ხელისუფლების რიგებში არის ხალხი, რომლებიც არა მარტო მთელი საარჩევნო კამპანიის მანძილზე, არამედ წლების განმავლობაში ამის ექსპლუატაციას ეწეოდნენ და იყვნენ მოწინავე რიგებში ამ სიძულვილის ქადაგების. ზოგიერთი მათგანი დღესაც აგრძელებს ამას. ძალადობა არის ფართო. შეიძლება, ეს იყოს პოლიტიკური ოპონენტის წინააღმდეგ. ეს ხალხი, ვინც დღეს ჩვენ აქ ვიხილეთ, მინდა, გითხრათ, რომ 8 თებერვლის აქციაზეც იყვნენ. ყველა არა, თუმცა საკვანძო ნაწილი. ეს იგივე ხალხია, ვისთვისაც ძალადობა ცხოვრების წესია და ასეთი ხალხის გმირებად გამოშვება, წახალისება არის ის, რაც ასეთ შედეგს გვაძლევს. ამასთან, მე პრემიერ-მინისტრისა და იუსტიციის მინისტრის განცხადებას აქციამდე გამოვეხმაურე და სრული პოლიტიკური მხარდაჭერა იქნა გამოცხადებული ამ განცხადების მიმართ. ვიხილეთ ის, რომ ამ ხელისუფლებას თავად მიუძღვის წვლილი ასეთი კლიმატის შექმნაში და ამასთან, ერთად არ შეუძლია, რომ მართოს ეს სიტუაცია. ეს დიდი პრობლემაა. ამისდა მიუხედავად, მინდა, ვთქვა, რომ ყველა იმ ნაბიჯს, რომელიც ლეგიტიმურია მთავრობის მხრიდან, მე პირადად და რა თქმა უნდა, პოლიტიკური ოპოზიციაც მხარს უჭერს, თუმცა ამ პასუხისმგებლობას ისინი ვერ გაექცევიან. მეუბნებიან, რომ მინისტრი განცხადებას აკეთებს და აცხადებს, ჩვენ მიზანს მივაღწიეთო, ეს სამარცხვინოა, - განაცხადა ბოკერიამ.

მან გაიხსენა შარშან ჩატარებული აქციაც. სხვათაშორის ცემა-ტყეპა მაშინაც იყო. მისი თქმით, პირველ დღეს მოხდა შეცდომის დაშვება - პოლიცია საკმარისი რაოდენობით არ იყო.

– შეცდომა იყო დაშვებული, თუმცა ამის მსგავსი და მიახლოვებული არაფერი მომხდარა. მეორე დღეს პირველ დღეს დაშვებული შეცდომის გამო იქნა ზომები მიღებული, გაკეთდა კორდონი, მოხდა დაშორიშორება თავიდანვე და ფიზიკური მიახლოვების საშუალება არ მიეცათ ამ სიძულვლის მქადაგებლებს აქციის მონაწილეებთან. გასაგებია, რომ ახლა უფრო მეტი დრო ჰქონდათ და სიძულვილის უფრო ფართო კამპანია აწარმოეს, თუმცა წინა წლისგან განსხვავებით მეტი დრო ჰქონდა პოლიციასა და მონაწილეებსაც. რუსთაველის გამზირზე პოლიციის რაოდენობაც მეტი უნდა ყოფილიყო და მათ დაშორება თავიდანვე წინასწარ უნდა მოხდარიყო, – აღნიშნა ბოკერია,.

უშიშროების საბჭოს მდივანი სასულიერო პირების ქმედებებსაც შეეხო. მისი განცხადებით, სასულიერო პირებმა, რომლებმაც დღეს დანაშაული ჩაიდინეს, პასუხი უნდა აგონ.

– რაც შეეხება სასულიერო პირებს, ნებისმიერ მათგანი, რომელიც ძალადობას ჩაიდენს, ან აშკარად საფრთხის შემცველ ვითარებაში ძალადობისკენ მოუწოდებს, საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულს სჩადის. ყველამ პასუხი უნდა აგოს. სასულიერო პირობა რა, ლიცენზიაა დაუსჯელი ძალადობისკენ?! იმედი მაქვს, რომ ეკლესიაშიც აღმოჩნდება ხალხი, ვინც ამას გარკვევით იტყვის, თუმცა სამწუხაროდ, რაც ვიხილეთ, იყო ის, რომ "მორალური" ინიციატივა ჰქონდა იმ ხალხს სასულიერო პირებს შორის, რომლებიც აშკარა სიძულვილს ქადაგებდა და ძალადობას ღიად ჩადის და ისინი კანონის საფუძველზე უნდა იყვნენ დასჯილები, – განაცხადა ბოკერიამ.

ირაკლი ეზუგბაიას მიმართ სისხლის სამართლის დევნა დაიწყო

,,რკინიგზის“ ყოფილი დირექტორის ირაკლი ეზუგბაიას მიმართ სისხლის სამართლის დევნა დაიწყო.

როგორც გუშინ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის პრესსამსახურის უფროსმა ნათია სუხიაშვილმა განაცხადა, შპს „საქართველოს რკინიგზისთვის“ 65 მილიონიანი ზიანის მიყენების ბრალდებით, რამდენიმე პირი ა დაკავებული, ხოლო „რკინიგზის“ ყოფილი დირექტორის, ირაკლი ეზუგბაიას წინააღმდეგ, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო.

მისი თქმით, განსაკუთებით დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხების მითვისება-გაფლანგვის ბრალდებით დააკავეს შპს „საქართველოს რკინიგზის“ სატვირთო გადაზიდვების ყოფილი დირექტორი და შპს „ვაგონმშენებელის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი წევრი დავით ჯინჯოლია.

დაკავებულები არიან ასევე „სატვირთო გადაზიდვების“ დირექტორი აბელ გიორგობიანი, გადაზიდვების მოძრავი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გიორგი ჟღენტი, შპს „ვაგონმშენებელი კომპანიის“ დამფუძნებელი ბადრი წილოსანი, გენერალური დირექტორი ირაკლი თოდუა, დირექტორები – მამუკა დოლიძე და ვლადიმერ აბულაძე.

სუხიაშვილის ცნობით, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო „საქართველოს რკინიგზის“ ყოფილი გენერალური დირექტორის, ირაკლი ეზუგბაიას მიმართ, რომელიც ამჟამად მიმალვაში იმყოფება და მასზე ძებნა მას შემდეგ გამოცხადდება, რაც შუამდგომლობას პროკურატურა დააყენებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ „საქართველოს რკინიგზასა“ და „ვაგონმშენებელ კომპანიას“ შორის ვაგონების გარემონტების მიზნით, 2008 წლიდან გაფორმდა 5 ხელშეკრულება, რომლებშიც საქართველოს რკინიგზამ 1 სატვირთო ვაგონის შეკეთებისთვის ხელოვნურად გაზრდილი თანხა, 39 ათასი დოლარი დააფიქსირა. რეალურად კი ერთი ვაგონის შეკეთების საბაზრო ღირებულება 31 ათასი ლარი იყო. ამ ქმედებით, დაკავებულებმა შპს „საქართველოს რკინიგზას 65 მილიონი ლარის ზიანი მიაყენეს“, – აღნიშნა ნათია სუხიაშვილმა.

მისივე თქმით, გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც 7-დან 11 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. დაკავებულებს ბრალი ოფიციალურად ხვალ წარედგინებათ.

მედიანიუსი

გიორგი გაბაშვილი: „რელიგია ადამიანებისთვის ქვების სროლას არ ამართლებს“

საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიორგი გაბაშვილის განცხადებით, არ არსებობს რელიგია, რომელიც ადამიანებისთვის ქვების სროლას ამართლებს.

„არ არსებობს რელიგია და მითუმეტეს, რელიგია, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ – ქრისტიანობა, რომელიც ამართლებს ადამიანებისთვის ქვების სროლას. არანაირ სასულიერო პირს არ აქვს მორალური უფლება, მოუწოდოს ადამიანთა ერთ ჯგუფს მეორე ჯგუფს ქვები ესროლოს. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ფუნდამენტალისტები გამოუშვეს პოლიტპატიმრების სტატუსით, ყველანაირად ახალისებენ მკალავიშვილის მსგავს სუბიექტებს და ეს არის ფასი, რომელსაც ამ შეცდომების გამო საზოგადოება იხდის. დღეს სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო აზრის გამოთქმის საშუალება, ვერ უზრუნველყო უმცირესობების დაცვა, რაც ძალიან მკაცრ შეფასებას საჭიროებს“ , – განაცხადა გიორგი გაბაშვილმა და დასძინა, რომ კანონისა და კონსტიტუციის წინაშე ყველა თანაბარია.

მედიანიუსი

14 წლის მოზარდმა 112-ის მუშაობის პარალიზება მოახდინა

საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრ „112“-ში, აღნიშნული ნომრის არამიზნობრივად გამოყენების თაობაზე, პრესკონფერენცია გაიმართა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება მომხდარმა ინციდენტმა განაპირობა, როდესაც 14 წლის მოზარდმა, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტში 50-მდე ცრუ ზარი განახორციელა.

„ზარის ინიციატორი „112“-ის შენობაში ბომბის არსებობის შესახებ იუწყებოდა, შემდეგ უკვე სურდა სახანძროს და სასწრაფოს გამოძახება. მომხდარმა გარკვეული დროის მანძილზე შეაფერხა „112“-ის მუშაობა, რადგან საჭირო გახდა ოპერატორების დარბაზიდან გაყვანა. შსს-მ ცრუ განგაშის ფაქტზე გამოძიება დაიწყო და ოპერატიულად შეძლო აღნიშნული ზარების ინიციატორის ვინაობის დადგენა. რადგან სამართალდარღვევის ჩამდენი 14 წლის არასრულწლოვანია, შეუძლებელი გახდა მის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება, ამიტომ „112“-მა სამართალდარღვევის ფაქტზე არასრულწლოვანის მშობლებს ინფორმაცია მიაწოდა და სიტყვიერი გაფრთხილება მისცა.

„112“ მოუწოდებს ყველა მოზარდს, თავი შეიკავონ საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრისათვის ცრუ შეტყობინებების მიწოდებისაგან, რადგან მსგავსი ქმედებები აფერხებს ცენტრის ეფექტურად მუშაობას და საფრთხეს უქმნის იმ ადამიანების სიცოცხლეს, ვისაც გადაუდებელი დახმარება ესაჭიროებათ. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტი აღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ საშუალებად მშობელთა მხრიდან მხარდაჭერას მიიჩნევს“-ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტის განცხადებაში.

ნიუსპრესი

მეუფე იაკობი: „ჭკვიანად იყვნენ, თორემ ერთხელაც იქნება, ერი არ აპატიებს“

რუსთაველის გამზირზე, ლგტბ პირებისა და მათი მხარდამჭერების ღონისძიების მოწინააღმდეგე აქციის მონაწილეებს, რომლებმაც რუსთაველის გამზირი დატოვეს და სამების საკათედრო ტაძარში გადაინაცვლეს, სამადლობელი პარაკლისის შემდეგ, მეუფე იაკობმა მიმართა. მეუფეს თქმით, თუ საჭირო გახდება, ქუჩაში მილიონობით ადამიანი გამოვა.

– 26 მაისი და 7 ნოემბერი გავიხსენოთ. ყველა დღე ამ თარიღებს გავდა, დღეს კი გამოდიან ეს „ვაუბატონები“ და ჩვენზე ლაპარაკობენ. ცოტა ჭკვიანად იყვნენ და იმ ხალხში არ შევეშალოთ ვინც პასუხს არ მოსთხოვს. მაგათი პარპაშის დრო უნდა დამთავრდეს. ვერანაირი უცხოეთი ვერ გვაიძულებს დავემონოთ მათ, ან ამ აქციის მსგავი ფაქტები ავიტანოთ. გავიხსენოთ რას უშვრებოდნენ ერს ციხეებში, აუპატირუებდნენ და დღეს ვისზე ამბობენენ, რომ მოძალადეები არიანო.

არავის არ ვემუქრებით, მაგრამ ჭკვიანად იყვნენ, ერთხელაც იქნება ერი არ აპატიებს. თუ თავიანთ შეცდომებს მიხვდებიან და პატიებას გვთხოვენ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძნელია მათი პატიება, შევეცდებით ვაპატიოთ. როგორ შეიძლება მათ მორალი გვასწავლონ. ის რაც დღეს მოხდა ერის დაკვეთა იყო. კარგად იცით რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 5 000 კაცის შეკრებას ორთვენახევარი მოანდობა, ხოლო დღეს ხალხი თავისით მოვიდა. საჭირო რომ გახდეს რამდენიმე მილიონიც გამოვა. ამიტომ სჯობს იცხოვრონ ისე, რომ ქვეყანას განვითრებაში ხელი არ შეუშალონ, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

ნიუსპრესი

პატიმარმა შიმშილობა შეწყვიტა

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე გლდანის №18-ე სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებაში მოშიმშილე პატიმარს, მამუკა ბულუხიას შეხვდნენ. შეხვედრის შედეგად ბულუხიამ შიმშილობა შეწყვიტა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ მომენტისთვის დამაკმაყოფილებელი და სტაბილურია - ინფორმაციას ამის სესახებ სასჯელაღსრულების სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, შიმშილობის შედეგად, ორგანიზმში ელექტროლიტების, მინერალების, ვიტამინების და სასიცოცხლოდ აუცილებელი ელემენტების ბალანსის აღსადგენად და "კვების განახლების სინდრომის" თავიდან ასაცილებლად, პატიმარი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ კვებას მცირე ულუფებით, თანდათანობით განაახლებს.

მ. ბულუხიას მდგომარეობას სამედიცინო პერსონალი სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპების დაცვით უწევდა მონიტორინგს.

მსჯავრდებული, ამნისტიასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით შიმშილობდა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი მარგველაშვილი: „საქართველოში ნებისმიერი აზრის გამოხატვა დაცულია“

ნათია ხურცილავა

გუშინ მთავრობის სხდომა გაიმართა. მთავრობის სხდომის დაწყებამდე ვიცე-პრემიერმა და განათლების მინისტრმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთეს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი აქციის თაობაზე:

– ამ საკითხს არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია, შესაბამისად, კითხვის ნიშანი აქ ზედმეტია. ყველა ჯგუფი, რომლებსაც არ უნდა წარმოადგენდნენ ადამიანები, ყველას ინტერესესი უნდა იყოს დაცული. საქართველოში ნებისმიერი აზრის გამოხატვა დაცულია, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ვიცე-პრემიერი პატრიარქის გუშინდელ განცხადებასაც გამოეხმაურა. მისი თქმით, ეს არის კონკრეტული დემონსტრაციის და კონკრეტული ამბის შეფასება:

– ბუნებრივია ერთი ჯგუფისთვის მეორე ჯგუფის პოზიცია მიუღებელია, მაგრამ ეს სხვა თემაა. აქ იქნება სხვადასხვა ტიპის შეფასებები, მაგრამ ჩარჩო, სადაც ეს მოვლენები განვითარდება, რომელსაც იცავს სახელმწიფო, ეს არის არაძალადობრივი, მშვიდობიანი პოზიციის გამოხატვა, რომელიც ნებისმიერ ჯგუფს შეუძლია. – განაცხადა მარგველაშვილმა.

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, ვისაც ჰქონდა პროტესტის, თუ აზრის გამოხატვის სურვილი, ყველას თანაბრად შეეძლო ამის გაკეთება.

როგორც მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, სექსუალური უმცირესობების მხარდამჭერებსაც და მათ დაპირისპირებულ მხარესაც შეეძლოთ გამოეხატათ თავიანთი პროტესტი, რაც კონსტიტუციით და საერთაშორისო სტანდარტებით არის აღიარებული.

წულუკიანმა დადებითად შეაფასა პოლიციის მუშაობა და აღნიშნა, რომ სამართალდამცავმა სტრუქტურებმა უკიდურესი დაძაბულობის მიუხედავად მოახერხეს ის, რომ მაქსიმალურად თავიდან აეცილებინათ დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეტაკება.

იუსტიციის მინისტრი იმედს გამოთქვამს, რომ საზოგადოება მომავალში უკეთესად გაიაზრებს იმას, რომ ორივე ჯგუფს არსებობის უფლება აქვს.

– იმედი მაქვს, მომავალში საზოგადოებაში უკეთ გაიგებენ იმას, რომ ერთსაც და მეორესაც აქვს არსებობის უფლება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ერთი ჯგუფიც და მეორეც არიან ჩვენი ჯგუფის მოქალაქეები და სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არიან ადამიანები და ჩვენი საზოგადოების წევრები. – განაცხადა წულუკიანმა.

ვიცე-პრემიერი და „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის დეტალებზე საუბრობს.

ვიცე-პრემიერის განცხადებით 26 მაისს მთავრობა, მოსახლეობა და სამხედრო მოსამსახურეები გვერდიგვერდ იდგებიან.

როგორც ცნობილია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარეა.

გიორგი მარგველაშვილი ამბობს, რომ ღონისძიება 26-ზე მეტ ქალაქში ჩატარდება.

– ღონისძიებები 26-ზე მეტ ქალაქში ჩატარდება. ახალი ფორმა ის იქნება, რომ მთავრობასა და ხალხს შორის ბარიერი მოიხსნება. რაც შეეხება პრეზიდენტს, მთელი საქართველოს მასშტაბით არავინ არავის არსად ეპატიჟება, არამედ ყველანი ვიქნებით ერთად ტრიბუნის გარეშე. პრეზიდენტი ისევე როგორც ნებისმიერი მოქალაქე, ბუნებრივია, ჩვენთან ერთად იზეიმებს ამ დღეს. მე მგონია, რომ მასაც უხარია ეს დღე. სამხედრო კომპონენტთან დაკავშირებით გეტყვით, რომ ისინი ხალხთან ერთად იდგებიან, – განაცხადა მარგველაშვილმა.

პაატა ზაქარეიშვილი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონპროექტს გამოეხმაურა.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონპროექტზე პარლამენტში მიმდინარე მოვლენებს „წუწაობად აფასებს“.

ასე შეაფასა ზაქარეიშვილმა საპარლამენტო უმცირესობის მიერ გაჟღერებული ინიციატივა კანონპროექტთან დაკავშირებით კონსტულტაციების გამართვის თაობაზე.

– ძალიან უცნაურია, რომ ბაქრაძეს კონსულტაციების სურვილი ახლა გაუჩნდა. ეს კანონპროექტი ნოემბრიდანაა ინიცირებული და მას შემდეგ მიდის წუწაობა. ეს აშკარად წუწაობაა და მეტი არაფერი. მათ ჰქონდათ შანსი, რომ ჩემთან კონსულტაციები გაევლოთ. ნოემბრიდან მოყოლებული, უმცირესობიდან არც ერთი ზარი, ან წერილი არ ყოფილა. აღარაფერს ვამბობ ოფიციალური ინფორმაციის მოთხოვნაზე. გოგორიშვილმა განაცხადა, რომ ინფორმაცია ვერ მოიპოვა, ერთხელ მაინც დაერეკა ჩემთან, ან ოფიციალური ინფორმაცია მოეთხოვა. ეს წუწაობის მორიგი ფორმაა, მაგრამ მთავარია, რომ მათი პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში ოკუპაცია დადგა, ანუ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სულ სხვა კანონები მოქმედებს და შესაბამისად, იქ სხვა სამართლებრივი ურთიერთობებია. იქ დაბადებული ბავშვი, ან წყვილის ქორწინება, ან გადაადგილება კანონმდებლობას არ შეესაბამება, ამიტომ მკაფიოდ ვამბობთ, რომ 344-ე მუხლს არ ვცვლით. ამ კანონის მიღებით ადამიანის უფლებები გაცილებით ცივილიზებულ ფორმაში გადადის, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

ფინანსთა მინისტრი სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისთვის გამოყოფილ ბიუჯეტზე საუბრობს.

ნოდარ ხადურის განცხადებით, „აჭარაში წინა სტიქიების დროს ზარალის ლიკვიდაციისთვის ბიუჯეტიდან 1 828 000 ლარი გამოიყო“.

როგორც ხადურმა მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, ბოლო დროს გურჯაანში მომხდარი სტიქიისთვის ბიუჯეტიდან 300 000 ლარი გამოიყო.

რაც შეეხება აჭარაში მომხდარ სტიქიას, მინისტრის თქმით, „აქ უბრალოდ ზარალის ოდენობის დაზუსტება მოხდა“.

მთავრობის სხდომაზე სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები დამტკიცდა. საკითხი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნარმანიამ დააყენა. გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს მასშტაბით 7 ათასამდე პროექტი დაფინანსდება, როლის ჯამური ღირებულება დაახლოებით 50 მილიონი ლარია.

სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს 3 500-მდე სოფელში კრებები ჩატარდა და პრიორიტეტები მოსახლეობის მიერ გამოთქმული პრობლემების მიხედვით განაწილდა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ძირითადად სასმელი წყლის, შიდა სასოფლო გზების, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის, გარე განათების, სარიტუალო სახლებისა და სპორტული მოედნების მოწყობის პროექტები დაფინანსდება.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია ამბობს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ფარგლებში შექმნილმა საგანგებო შტაბმა აღწერა კახეთის 4 სოფელში არსებული ინფრასტრუქტურული ზიანი, რომელმაც 392 ათასი ლარი შეადგინა.

– ეს არის საბოლოო ციფრი, რომელზეც მომზადდა სასწრაფოდ მთავრობის განკარგულების პროექტი და ადგილობრივ თვითმმართველობებს გამოეყოფა შესაბამისი თანხა იმისთვის, რომ მოხდეს ზიანის აღდგენა. ეს ეხება როგორც ხევების გაწმენდას, ასევე დაზიანებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურის აღდგენას, გზების გასწორებას. – განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, შესაბამისი თანხა გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან. რაც შეეხება მოსახლეობის კომპენსირების საკითხს, დავით ნარმანია ამბობს, რომ ამ თემაზე სოფლის მეურნეობის სამინისტრო მუშაობს.

დიდი ცემა-ტყეპა რუსთაველზე

მეუფე იაკობი: „დღეს ყველამ შინაგანად სიკვდილის შიში გადალახა!“

ნათია ხურცილავა

რამდენიმე დღით ადრე, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობამ“ აქცია დააანონსა. აქცია რუსთაველის გამზირზე იყო დაგეგმილი. ასევე დაიგეგმა საწინააღმდეგო აქცია.

გუშინ რუსთაველის გამზირზე უამრავი ადამიანი იყო მობილიზებული, ძირითადად მრევლი.

აქციაზე ასევე მობილიზებული იყო პოლიციის დანაყოფები. დიდი რაოდენობით პოლიციის მობილიზება, როგორც ჩანს, აქციის მონაწილეთა რაოდენობამ გამოიწვია.

„იდენტობის“ აქციის დაწყებამდე თავისუფლების მოედანზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესა და მეუფე იაკობს შორის მოლაპარაკება გაიმართა.

– არაფერზე არ შევთანხმებულვართ, უსაფრთხოების ზომები დაცულია, როგორც ერთი მხარის, ისე მეორე მხარის. არსებობს გარანტია, რომ დაპირისპირება არ მოხდება. – გვითხრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვახტანგ გომელაურმა.

მოგვიანებით შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებსა და მეუფე იაკობსა და რამდენიმე სასულიერო პირს შორის მოლაპარაკება გაგრძელდა. როგორც ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები სასულიერო პირებთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, რომ „იდენტობის“ აქციისთვის ხელი არ შეეშალათ.

აქციაზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ „იდენტობის“ აქცია არა რუსთაველის გამზირზე, არამედ პუშკინის სკვერში გაიმართებოდა. თუმცა, გუშინ „იდენტობის“ მიერ დაანონსებული აქცია არ შედგა. „იდენტობის“ წარმომადგენლებს აქციის გამართვის შესაძლებლობა არ მიეცათ.

თავისუფლების მოედანზე მობილიზებული პოლიციის დიდი რაოდენობის მიუხედავად აქციის მონაწილეებმა პოლიციის კორდონი, ჩახერგილი ჯიბირები გაარღვიეს და თავისუფლების მოედნისკენ და პუშკინის სკვერისკენ გადაინაცვლეს.

სასულიერო პირებმა, მუზეუმთან შეკრებილმა მოქალაქეებმა გაარღვიეს სამართალდამცველების კორდონი, რომელიც ეროვნულ მუზეუმთან იყო განთავსებული. ისინი თავისუფლების მოედნისკენ გაემართნენ, სადაც ასევე მობილიზებულები იყვნენ სამართალდამცველები.

ადამიანები ქაოტურად გადაადგილდებოდნენ, პერმანტულად ჭყლეტის საშიშროება იქმნებოდა. ნატო ვაჩნაძის ქუჩაზე დაპირისპირების შედეგად რამდენიმე მოქალაქისა და პოლიციელის დაშავება მოჰყვა. ასევე დაზიანდა ერთი ავტომანქანა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებმა აქციის დროს დაზარალებული 16 პაციენტი სამკურნალო დაწესებულებებში გადაიყვანეს.

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ორი ყვითელი ავტობუსით გადაადგილდებოდნენ ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლები. აქციის ერთმა ნაწილმა აღნიშნულ ავტობუსებს ორთაჭალამდე სდიეს.

აქციაზე, როგორც აღვნიშნეთ, იყვნენ დაშავებულები. სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ექიმების განცხადებით დაზარალებულებს სხეულის ზოგადი დაზიანებები, დაჟეჟილობა და ნახეთქი ჭრილობები აღენიშნებათ. თუმცა, ექიმების განცხადებით პაციენტების ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე არ უმუქრება.

გუშინ მოვლენების ეპიცენტრი რამდენიმე ადგილზე იყო. მოვლენები სხვადასხვა ქუჩაზე პარალელურად ვითარდებოდა.

აქციის მონაწილეებში ინფორმაცია ვრცელდებოდა „იდენტობის“ წარმომადგენლების შეკრების ადგილთან დაკავშირებთან, საითკენაც მიემართებოდნენ აქციის მონაწილეები შეძახილებით.

აქციის მონაწილეების ნაწილი ჭავჭავაძის გამზირისკენ დაიძრა, სადაც მათი ინფორმაციით, თურქეთის საელჩოსთან დაანონსებულია აქცია, თურქეთში მომხდარი ჰომოფობიური მკვლელობების გასაპროტესტებლად. მეორე ნაწილი კი თავისუფლების მოედანსა და რუსთაველზე დარჩა.

აქციის მონაწილეები ამბობდნენ, რომ ლგბტ-ებს აქციის გამართვის საშუალება არსად უნდა მიეცეთ.

აქციის მონაწილეების ნაწილს, რომლებიც ჭავჭავაძისკენ გაემართნენ, უკან შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ავტომანქანა მიჰყვებოდა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აქციის სხვადასხვა ეპიცენტრში არაერთხელ გამოჩნდა.

აქციაზე დაშავდა რადიო „ფორტუნას“ ჟურნალისტი ხატია კალანდაძე, რომელსაც აქციის მონაწილეების მიერ ნასროლი ქვა თავში მოხვდა.

აქციაზე ასევე დაშავდა რამდენიმე პოლიციელი, რომლებსაც ზედაკიდურებზე სისხლი მოსდიოდათ. ერთ-ერთი პოლიციელი ფეხის მოტეხილობით (წინასწარი დიაგნოზი) გადაიყვანეს.

ეუფე იაკობის შეფასებით, ის, რაც დღეს ხდებოდა, ერის დაკვეთა იყო.

მეუფე იაკობმა აღნიშნული განცხადება სამების საკათედრო ტაძარში სამადლობელი პარაკლისის დასრულების შემდეგ ქადაგებისას გააკეთა.

– მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის, მათ შორის, დღევანდელი დღისთვის. ხშირად ადამიანი ფიქრობს, თუ რისთვის მოავლინა ის უფალმა ამქვეყნად. ჭკვიანი და გონიერი ადამიანი ყოველთვის ემზადება ღმერთთან შესახვედრად. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ბევრ ადამიანს უცხოვრია, რომელთა სახელები არ შემორჩენილა. იყვნენ ადამიანები, რომლებიც სამშობლოს სიყვარულის გამო სიკვდილს არ ერიდებიან. მათ შიში დაამარცხეს. შიშის დამარცხება კი სიყვარულის გამარჯვებაა. დღეს ჩვენ ვნახეთ სამწუხარო რაღაც, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ერის მორალს უპირისპირდებოდა. ადამიანმა საკუთარი ცხოვრების წესი თავად უნდა აირჩიოს და სხვას თავს არ უნდა მოახვიოს. არც მართლმადიდებელმა მოუწოდეს სხვებს მართლმადიდებლობა ძალადობით. საქართველოში ნებისმიერი აზრის გამოხატვა დაცულია. დღეს ყველამ შინაგანად სიკვდილის შიში გადალახა, – ბრძანა მეუფემ.

გუშინ განვითარებული მოვლენები სახალხო დამცველმაც შეაფასა. უჩა ნანუაშვილი მოვლენების განვითარებას ადგილიდან ადევნებდა თვალყურს. ნანუაშვილის შეფასებით, ჰომოფობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე საქართველოში ჰომოფობიის გამოვლინების დღე გახდა.

– 2013 წლის 17 მაისს არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობას“ და მათი მხარდამჭერების მიერ ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია იყო დაგეგმილი. პარალელურად გაიმართა საპროტესტო აქცია, რომელშიც სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ. სამწუხარო პარადოქსია, რომ სწორედ ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე გახდა საქართველოში ჰომოფობიის გამოვლინების დღე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო რამდენიმე დღით ადრე ინფორმირებული იყო, რომ ერთი და იგივე ადგილზე უნდა გამართულიყო პარალელური აქცია, ასევე იმ მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ, რომელსაც შეესაძლოა ადგილი ჰქონოდა ლგბტ და მათი მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლებს არ მიეცათ საშუალება, ესარგებლათ კონსტიტუციით მათთვის მინიჭებული შეკრების თავისუფლებით. მიუხედავად იმისა, რომ აქციის დაწყებისთანავე ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია, გაკეთებული იყო კორდონი, პოლიციამ ვერ შეძლო მისი შენარჩუნება. ლგბტ უფლებადამცველები და მათი მხარდამჭერი აქციის მონაწილეები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა უსაფრთხოების მიზნით მიკროავტობუსებითა და ავტობუსებით გაიყვანეს ადგილიდან. ამ ეტაპზე გავრცელებული ინფორმაციით, დაშავებულია 17 პირი, 12 გადაყვანილია საავადმყოფოში, მათ შორის საპატრულო პოლიციის 3 თანამშრომელი. დაშავებულთა შორის არის რადიო „ფორტუნას“ ჟურნალისტი. აქციის მონაწილეებმა პარალელურად სცადეს არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ოფისის დარბევაც. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მიუხედავად მცდელობისა, ვერ უზრუნველყო სათანადო ღონისძიებების გატარება, რაც უზრუნველყოფდა ლგბტ და მათი მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების აქციის ჩატარებას. გავრცელებული კადრებიდან აშკარაა, რომ პარალელური აქციის მონაწილეები, მათ შორის სასულიერო პირები, იყვნენ იმთავითვე აგრესიულად განწყობილები, მისდევდნენ აქციის მონაწილეებს. მათი მიზანი არა მშვიდობიანი პროტესტი, არამედ აქციის მონაწილეთა ფიზიკური ანგარიშსწორება იყო, რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ექსტრემიზმისა და სიძულვილის გამოვლინებას. ისინი მიზანმიმართულად მისდევდნენ სამარშრუტო მიკროავტობუსებს, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები აქციის მონაწილეების გაყვანას ცდილობდნენ. შესაბამისად აშკარაა, რომ პარალელური აქცია გავიდა სამართლებრივი ჩარჩოებიდან. უფრო მეტიც, პარალელური აქციის მონაწილეები აშკარა აგრესიით გამოირჩეოდნენ ინციდენტის ადგილზე საგანგებოდ მისული სახალხო დამცველის მიმართ და რომ არა სამართალდამცავების სათანადო ძალისხმევა მის უსაფრთხოებას შესაძლოა საფრთხე შექმნოდა. – განაცხადა ნანუაშვილმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირებისკენ მოუწოდა.

ნინო ბურჯანაძე: „გიგა ბოკერიამ მითხრა, მოგიწევთ, შეეგუოთ, რომ საქართველოში გეიაღლუმები იქნებაო“

ბასილ მკალავიშვილის მრევლი აქციაზე ჭინჭრებით აღჭურვილი მივიდა

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ საქართველოსთვის ძალიან მძიმე დღე იყო. პოლიციის თავგანწირვა რომ არა, ყველაფერი გაცილებით მძიმედ დამთავრდებოდა. პოლიციის თავგამოდების მიუხედავად, გუშინდელ აქციაზე რამდენიმე ადამიანი სერიოზულად დაშავდა. დაშავდნენ პოლიციელებიც.

ბოლო 2 კვირის განმავლობაში მთელი საქართველო გეიაღლუმზე ლაპარაკობს. ამ აქციის ორგანიზატორი ორგანიზაცია „იდენტობა“ გახლავთ. მათი განცხადებით, აქცია ჰომოფობიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ლგბტ პირებს აქციის ჩატარება რუსთაველის გამზირზე პარლამენტის ძველი შენობის წინ სურდათ. მათ განაცხადეს, რომ მათი აქცია მხოლოდ ნახევარი საათი გაგრძელდებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ აქციას საქართველოში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. რამდენიმე პარტიამ და ორგანიზაციამ დააანონსა, რომ ლგბტ აქციის საწინააღმდეგო აქციას გამართავდნენ.

აქციის წინააღმდეგ გამოვიდნენ სასულიერო პირებიც. საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ ხელისუფლებას მოუწოდა, არ დაეშვათ აქციის ჩატარება. პატრიარქის მოწოდების წინააღმდეგ წავიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. მისი თქმით, აქცია არ უნდა გადადებულიყო. ამ ფაქტმა საზოგადოებაში დიდი გაღიზიანება გამოიწვია. გუშინდელ აქციას, ლგბტ პირების გარდა, ხალხი რესპუბლიკელებსაც აგინებდა.

პარლამენტის თავმჯდომარის საპასუხოდ სასულიერო პირებმა განაცხადეს, რომ ისინი აქციის ჩატარებას არ დაუშვებდნენ. რამდენიმე ათეულმა მღვდელმა რუსთაველის გამზირზე ჯერ კიდევ 16 მაისის საღამოს დაიკავა პოზიციები.

რამდენიმე ხანში მათ პატრიარქის ქორეპისკოპოსი მეუფე იაკობიც შეუერთდა. მეუფე იმედოვნებდა, რომ აქცია არ გაიმართებოდა.

სასულიერო პირებმა და მათმა მრევლმა ღამე რუსთაველზე გაათენეს. მათ მეუფე იაკობთან ერთად ლოცვაც აღავლინეს, რომ გუშინდელი აქცია არ გამართულიყო.

„იდენტობამ“ გადაწყვეტილება არ შეცვალა და განაცხადეს, რომ აქციას მაინც ჩაატარებდნენ და, რადგან რუსთაველის გამზირი „ოკუპირებული“ იყო, აქციის გამართვა პუშკინის სკვერში გადაწყვიტეს.

სასულიერო პირებმა ყოფილი პარლამენტის შენობის წინ სამშვიდობო პარაკლისი გადაიხადეს, რის შემდეგაც გალობით საკრებულოს შენობასთან გადაინაცვლეს. საკრებულოსთან მორიგი სამშვიდობო პარაკლისის ჩატარების შემდეგ კი მშვიდობიანი აქციის მონაწილეები გალობით ისევ იმ ადგილს დაუბრუნდნენ, საიდანაც მსვლელობა დაიწყეს.

გუშინდელი დილა თითქოს მშვიდობიანად გათენდა. რუსთაველის გამზირზე სამართალდამცავები დილაადრიან გამოჩნდნენ. მათ მიმდებარე ტერიტორია გადაკეტეს და ყველაფერი გააკეთეს, მხარეებს შორის დაპირისპირება რომ არ მომხდარიყო.

ლგბტ აქციის მოწინააღმდეგეებმა ასევე დილიდან დაიწყეს შეკრება. მათ ფილარმონიიდან დაიწყეს მსვლელობა. ხალხი აქციას სხვადასხვა მხრიდან უერთდებოდა. საბოლოო ჯამში, რუსთაველის გამზირზე ათეულობით ადამიანმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ პატარა ბავშვებიც. თვალშისაცემი იყო სასულიერო პირების სიმრავლეც.

ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიიდან მსვლელობით სხვადასხვა ტაძრის მღვდელმსახურები და მრევლი პარლამენტის ყოფილი შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციას შეუერთდნენ. ისინი არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ დაგეგმილ აქციას აპროტესტებენ, რომელიც რუსთაველის გამზირზე 13.00 საათზე უნდა დაწყებულიყო.

ფილარმონიიდან წამოსულ მრევლს წინ მიუძღვებოდა გიორგი გაბედავა.

აქციის მონაწილეებმა ქაშუეთის ეკლესიასთან წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ავღანეთში დაღუპულ სამ ქართველ ჯარისკაცს.

როგორც აქციის ერთ-ერთმა მონაწილე რამაზ გაგნიძემ განაცხადა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობამ“ 15-წუთიანი აქცია „ფლეშმობი“ ფილარმონიასთან უნდა ჩაატაროს. მისი თქმით, თუ ამის მცდელობა იქნება, მათი 300-400-კაციანი ჯგუფი მათ ამის საშუალებას არ მისცემს.

აქციის მონაწილეებს ბასილ მკალავიშვილი და მისი მრევლიც შეუერთდნენ. როგორც დაგვპირდნენ, ისინი ჭინჭრებით იყვნენ შეიარაღებულნი და მზად იყვნენ, ლგბტ პირები ჭინჭრით დაესუსხათ.

ფილარმონიიდან მრევლისა და სასულიერო პირების მეორე ნაკადიც მოვიდა. იქ „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე და მსახიობი გივი სიხარულიძეც მივიდნენ.

დიმიტრი ლორთქიფანიძემ აქციაზე მობილიზებულ სამართალდამცავებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ისინი შესაშური კორექტულობით იქცევიან და საზოგადოების მიმართ სოლიდარობას გამოხატავენ.

– აქ ლაპარაკი არ არის ვინმეს უფლებების შელახვაზე. როდესაც საუბარია იმაზე, რომ ვიღაცამ გეიაღლუმი უნდა ჩაატაროს საკუთარი უფლებებისა თუ ინტერესების გამოსახატად, აუცილებლად უნდა დაისვას კითხვა, მათი უფლებებისა თუ ინტერესების რეალიზაცია ხომ არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ზნეობას. თუ ამ კითხვაზე მივიღებთ პასუხს, მთავრობამ უნდა იზრუნოს იმ ვალდებულებებზე, რომლებიც მას აკისრია კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, როდესაც ყველა ადამიანი, სოციალური წარმომავლობისა და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, კანონის წინაშე არის თანასწორი. არ შეიძლება, ერთი სოციალური ჯგუფის უფლებების რეალიზაცია არ შეფასდეს მთელი საზოგადოების ინტერესთა ჭრილში. თუ ასეთი შეფასების მიხედვით ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით, რომ არანაირი უზნეობის პროპაგანდას რუსთაველის გამზირზე ქაშუეთის ეკლესიისა და პირველი გიმნაზიის წინ ადგილი არ აქვს, – აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

„იდენტობის“ აქცია პირველ საათზე იყო დაანონსებული, რუსთაველი კი უკვე 11 საათისთვის იყო გადაჭედილი. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ აქცია არ ჩატარდებოდა. იმავეს იძახდნენ სასულიერო პირებიც. რამდენიმე მათგანი პოზიციას საკმაოდ აგრესიულად გამოხატავდა.

სასულიერო პირებთან მოლაპარაკებებს შს მინისტრის მოადგილე აწარმოებდა. „იდენტობის“ წევრები მზად იყვნენ, აქცია სხვა ადგილას ჩაეტარებინათ, თუმცა სასულიერო პირებმა ამის ნებართვა არ მისცეს. წინააღმდეგ წავიდა ხალხიც. „იდენტობამ“ განაცხადა, რომ ისინი აქციას მაინც გამართავდნენ.

სიტუაცია უკვე უმართავი ხდებოდა. რამდენიმე სასულიერო პირმა დაიძახა, წავედითო და ხალხი დაიძრა. პოლიციამ რამდენიმე წუთის განმავლობაში შეძლო ზღვა ხალხის შეკავება.

ხალხმა იოლად გაარღვია პოლიციის დერეფანი და იდენტობის პირებს გაეკიდა. პოლიციამ ყველაფერი გააკეთა მათ დასაცავად. აქციის მონაწილეებმა მანქანებით დატოვეს იქაურობა. ხალხი მაინც გაეკიდა. დევნა კარგა ხანს გრძელდებოდა.

ადგილი ჰქონდა შეტაკებებსაც. რომლის დროსაც რამდენიმე პირი დაშავდა. დაშავდნენ პოლიციელებიც.

ჭოველიძის ქუჩაზე პოლიციის სპეცრაზმის გამოძახება გახდა საჭირო. ერთ-ერთი ლგბტ პირი „პოპულის“ მაღაზიაში შევარდა. აქციის მონაწილეები შენობაში შესვლას ითხოვდნენ. პოლიციამ მათ ამის საშუალება არ მისცა.

აქციაზე მისულ ახალგაზრდებს თან ჰქონდათ კვერცხები და ქვები. ნასროლი კვერცხები არსად ჩანდა, მაგრამ ქვები საკმარისზე მეტი იყო. ქვების სროლის შედეგად ჟურნალისტებიც დაშავდნენ.

ქაშუეთის ეკლესიასთან გამძვინვარებულმა ხალხმა გოგოსა და ბიჭს სცემა. მერე გაირკვა, რომ ისინი ლგბტ პირები სულაც არ იყვნენ.

მართალია, ლგბტ პირები გაიქცნენ, მაგრამ სასულიერო პირები და აქციის მონაწილეები რისხვას ვერ იკავებდნენ. ვრცელდებოდა ხმები, ლგბტ-ები აქა და აქ იკრიბებიანო და ხალხი იქით გარბოდა.

თითქმის ორსაათიანი ბრძოლების შემდეგ ვითარება დამშვიდდა. სასულიერო პირებმა ხალხს სამების საკათედრო ტაძარში წასვლისკენ მოუწოდეს. აქციის მონაწილეთა ნაწილი ამის წინააღმდეგი წავიდა.

– დღეს მძიმე დღე იყო, რადგან ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომელიც უცხოეთიდან ფინანსდება, მრევლის წინააღმდეგ პროვოკაციებს აწყობდა. ეს იმ ჯგუფებს აწყობთ, რომელთა წიაღშიც რამდენიმე ორგანიზაცია მოქმედებს. არავის ჩავდენინებთ იმას, რაც ერის ზნეობისა და ღირსების საწინააღმდეგოა. როგორც იცით, ერთ-ერთი პოლიტიკურ პარტია 19 აპრილს გეგმავდა აქციას, სადაც 5 ათასი კაცი ძლივს მოაგროვა, ჩვენ კი აქციის ორგანიზება გუშინ დავიწყეთ და თქვენც კარგად ნახეთ, რამდენნი ვიყავით. სიტუაცია კონტროლქვეშაა. არაფერი ხდება. თუ არა ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციისა და „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე წევრის გამოხდომები, რეალურად არაფერი ხდება, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

რაც შეეხება კითხვას აქციის მონაწილეების მიერ ძალადობის გამოვლინებასთან დაკავშირებით, მეუფის შეფასებით, ეს უჭკუო ადამიანების გამონაგონია.

სამების საკათედრო ტაძარში წასვლისკენ ხალხს მეუფე იაკობმაც მოუწოდა. მეუფეს მოწოდებას ხალხი გაგებით შეხვდა და სამებისკენ წავიდნენ, სადაც სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს.

რუსთაველის გამზირზე დატრიალებულ მოვლენებს, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი წიოკი მოჰყვა. განსაკუთრებით შეშფოთდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები – „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ აქციასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი აქციის ჩატარების უზრუნველყოფა სახელმწიფომ ვერ შეძლო, რითაც აქციის მონაწილეების მიმართ დაარღვია შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება.

სტრატეგია, რომელიც პოლიციამ აქციის მონაწილეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავა, კონტრდემონსტრანტების ოდენობის, მათი უკონტროლო ქცევისა და რისკების გათვალისწინებით, არ იყო ადეკვატური და ეფექტური.

ჩვენი დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და გავრცელებული კადრების თანახმად, კორდონის გადალახვა კონტრდემონსტრანტებმა წინააღმდეგობის გარეშე შეძლეს. პოლიციამ სასულიერო პირების ჯგუფს (რომლებიც წარმოადგენენ კონტრდემონსტრანტებს) მისცა ჰომოფობიისა და ტრანსფობიის დღესთან დაკავშირებით დაგეგმილ აქციაზე შესვლის შესაძლებლობა, რა დროსაც ვეღარ მოხერხდა დამატებითი ნაკადის შეკავება.

კონტრდემონსტრანტებმა აგრესიულად და მასობრივად დაიწყეს აქციის მონაწილეთა მიმართულებით გადაადგილება და მთლიანად დაიკავეს აქციისათვის გამოყოფილი სივრცე. აქციის მონაწილეთა მხოლოდ ნაწილმა შეძლო ტერიტორიის უსაფრთხოდ დატოვება.

ამ ეტაპისათვის შეგვიძლია გავაკეთოთ პირველადი შეფასება და განვაცხადოთ:

– შინაგან საქმეთა სამინისტრომ სათანადოდ ვერ შეაფასა კონტრდემონსტრანტების მხრიდან მომდინარე შესაძლო რისკები და ვერ შეიმუშავა უსაფრთხოების შესაბამისი სტრატეგია. აქციის ტერიტორიაზე მობილიზებულ პოლიციელთა მცირე რაოდენობა, გამოყენებული ზომები, საშუალებები და მოქმედებები კანონდამრღვევთა წინააღმდეგ იმთავითვე ცხადი იყო, რომ იქნებოდა არაეფექტური:

– პოლიცია არ მოქმედებდა კოორდინირებულად და ხშირ შემთხვევაში იყო უსუსური, დაეცვა მოქალაქეთა გამოხატვის თავისუფლება. უფრო მეტიც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ორიენტირებული იყო აქციის მონაწილეთა ტერიტორიიდან უსაფრთხოდ გაყვანაზე და არა აქციის დაცვაზე. პოლიციამ არ გამოავლინა საკმარისი ძალისხმევა, რათა უზრუნველეყო აქციის მონაწილეთა უსაფრთხოება აქციის გამართვის პროცესში;

– კონტრდემონსტრანტების მიერ აქციის ტერიტორიის დაკავების შემდეგ პოლიცია გახდა სრულიად უმოქმედო, რითაც კონტრდემონსტრანტებს მისცა უმართავად გადაადგილების საშუალება, რამაც გაზარდა მათი მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ ინდივიდუალური ანგარიშსწორების შესაძლებლობა, რასაც ჰქონდა კიდეც ადგილი;

განსაკუთრებით შემაშფოთებელია პოლიციელთა დამოკიდებულება ჰომოფობიისა და ტრანსფობიის დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი აქციის მონაწილეთა მიმართ. ყველა დამკვირვებელი ადასტურებს, რომ პოლიციელები აღნიშნული აქციის მონაწილეებს ერთმანეთთან საუბარში მოიხსენიებდნენ ცინიკურად და შეურაცხმყოფელად და გარკვეულწილად თანაუგრძნობდნენ კონტრდემონსტრანტებს. ეს დამოკიდებულება ასევე იგრძნობოდა მათ ქცევაში.

ამ დროსათვის ათასობით კონტრდემონსტრანტი კვლავ გადაადგილდება ქუჩებში და გამოირჩევა განსაკუთრებული აგრესიით იმ პირების მიმართ, რომელთაც აიგივებენ თავდაპირველი აქციის მონაწილეებთან. სამწუხაროდ, პოლიციის ქცევა ამ შემთხვევაშიც არაადეკვატურია და შემოიფარგლება მხოლოდ კონფლიქტური ინციდენტების განმუხტვით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს:

დაუყოვნებლივ გაატაროს ეფექტური ღონისძიებები საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

დააყენოს ყველა იმ თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთაც სათანადოდ ვერ შეაფასეს არსებული რისკები და ვერ ან არ უზრუნველყვეს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელება და აქციის მონაწილეთა უსაფრთხოება;

გამოიძიოს და დააყენოს ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც არ მისცეს საშუალება მოქალაქეებს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის დღესთან დაკავშირებით ჩაეტარებინათ დაგეგმილი აქცია, ძალადობდნენ განსხვავებული შეხედულების ადამიანების მიმართ, აყენებდნენ მათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას.

დამკვირვებელი ორგანიზაციები ამ დრომდე აწარმოებენ სადამკვირვებლო საქმიანობას და სრულ ინფორმაციასა და შეფასებებს დამატებით წარუდგენენ საზოგადოებას, – ნათქვამია განცხადებაში.

აქციას პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ. საინტერესო შეფასება ჰქონდა ნინო ბურჯანაძეს.

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერ ნინო ბურჯანაძის განცხადებით, გუშინდელი აქცია იმ ხალხის ორგანიზებული იყო, ვისაც საქართველოში უცხოური ფასეულობების დამკვიდრება სურს.

როგორც ბურჯანაძემ განაცხადა, გუშინდელი აქცია ორგანიზებული იყო არა სექსუალური უმცირესობების, არამედ გიგა ბოკერიასა და მიხეილ სააკაშვილის მიერ, რომლებიც ამ ფასეულობების პროპაგანდას მუდმივად ეწეოდნენ.

გიგა ბოკერიამ ერთხელ პირდაპირ მითხრა, ქალბატონო ნინო, მოგიწევთ, შეეგუოთ გეიაღლუმს. რუსთაველზე განვითარებული მოვლენებით მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა მოითბობს ხელს. მათ აწყობდათ, მოვლენები ამ სცენარით განვითარებულიყო, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

გუშინდელ დარბევაზე, ალბათ, საქართველოში კიდევ დიდხანს ისაუბრებენ. ევროპა და ამერიკაც, ბუნებრივია, შეშფოთდებიან. გასაგებია, რომ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლების უფლებები უნდა დავიცვათ. მაგრამ ამის გამო სექსუალური უმრავლესობების უფლებებს ვერ დავარღვევთ. თუმცა ეს ძალადობას ნამდვილად არ ამართლებს.

„აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დღევანდელი დეპუტატები არძინბას ამრჩევები არიან“

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ უპარტიოთა მოძრაობის ლიდერ მამუკა გვაძაბიასთან

ახალ რეალობაში აფხაზეთის სტრუქტურების რეორგანიზაციის საკითხმა კვლავ წინა პლანზე წამოიწია. ამ საკითხის გააქტიურება ცოტა ხნის წინ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გია ბარამიას გადადგომამ გამოიწვია. სააკაშვილის ხელისუფლების დროს უპარტიოთა მოძრაობის ლიდერი აფხაზეთის სტრუქტურების რეორგანიზაციას მოითხოვდა, მაგრამ, როგორც თვითონ აცხადებს, ნაციონალურ მოძრაობას ვერაფერი შეასმინა.

– ბატონო მამუკა, მოგეხსენებათ, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გია ბარამია გადადგა. წინა ხელისუფლების დროს თქვენ აფხაზეთის სტრუქტურების მთლიან რეორგანიზაციას მოითხოვდით.

– ამ ორგანოში კენჭსაც ვიყრიდი და ის პროცესები, ფაქტობრივად, ჩემ თვალწინ ვითარდებოდა.

– აფხაზეთის უმაღლესი საბჭო 1991 წელს იქნა არჩეული, თუმცა, ომის შემდეგ, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, უგრძელდებოდათ უფლებამოსილება. დღეს როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

– კონსტიტუციაზე მაღლა პოლიტიკური მიზანშეწონილობა არ დგას. ეს ორგანო, რომელსაც ჰქვია ე.წ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭო, არჩეულია 1991 წლის შეზღუდული ხელმისაწვდომობის დემოკრატიის პირობებში, აპარტეიდული საარჩევნო კანონით.

– ამის გამო გამსახურდიას აკრიტიკებდნენ. თუმცა ეს მშვიდობიანი გამოსავალი იყო იმ პერიოდში აფხაზეთში შექმნილი ვითარებიდან.

– საარჩევნო კანონში, რომლითაც ეს ორგანო აირჩიეს, შეიტანეს სამარცხვინო შესწორებები – ამ ოლქში მაინცდამაინც ქართველი უნდა გამხდარიყო დეპუტატი, იმ ოლქში – აფხაზი, სხვაგან კიდევ – არც აფხაზი და არც ქართველი. ეთნიკური ნიშნით არჩევნები მხოლოდ აპარტეიდულ ქვეყნებში ტარდებოდა. მე გამსახურდიას ხელისუფლების მომხრე ვიყავი („მრგვალი მაგიდის“ ცხუმ-აფხაზეთის ორგანიზაციის წევრი გახლდით), მაგრამ აპარტეიდულ არჩევნებად შევაფასე. თუმცა, იმ რეალობიდან გამომდინარე, რომელიც მაშინ აფხაზეთში იყო, ლიბერალური მიდგომები იქნა გამოძებნილი და აირჩიეს ეს ორგანო. ამ უმაღლესმა საბჭომ 1991 წლის დეკემბერში აირჩია არძინბა. დღევანდელი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები (გარდა ორი დეპუტატისა) არძინბას ამრჩევები არიან. მათ ხმა მისცეს არძინბას არჩევას. შემდეგ თბილისში მოხდა სახელმწიფო-კრიმინალური-სამხედრო გადატრიალება, რომელიც შეჩერდა ენგურთან. მთელ საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა ძალადობრივი მეთოდებით, ხოლო იმ ხელისუფლებამ, რომელიც ენგურს გაღმა იყო (ანუ აფხაზეთის), ყველაფერი გააკეთა, რომ ე.წ. სახელმწიფო საბ-

ჭოს უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები შესულიყვნენ აფხაზეთში. სამხედრო მოქმედებების პროვოცირება მოხდა 1992 წლის 14 აგვისტოს. მანამდე, როგორც წესი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში იყო ქართველი. პარლამენტის თავმჯდომარე – აფხაზი. საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელი აფხაზი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ყოველთვის ქართველი უნდა ყოფილიყო. ამაზე აფხაზებიც თანახმა იყვნენ. ქართულ ფრაქციას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ერთი კანდიდატი უნდა წარედგინა. ქართულმა ფრაქციამ, განსაკუთრებით, გივი ლომონაძისა და მისი კლანის დესტრუქციული ქმედების შედეგად, ეს ვერ მოახერხა. კატეგორიულად მიუღებელი იყო გივი ლომინაძე აფხაზებისთვის, ხოლო მეტ-ნაკლებად მისაღები იყო ვახტანგ ყოლბაია. მიუხედავად ჩემი დამოკიდებულებისა ამ პიროვნებისა და იმ პოლიტიკური ორგანიზაციის მიმართ, რომელშიც ის არის დღეს (რომლის ლიდერიც საბჭოთა კავშირის ჰიმნის თანხლებით პუტინთან პოზირებდა, ნინო ბურჯანაძე მყავს მხედველობაში), მინდა ვთქვა, ვახტანგ ყოლბაია რომ დაენიშნათ მაშინ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, მოვლენები შესაძლოა სხვაგვარად წარმართულიყო, ვინაიდან ვახტანგ ყოლბაიას, როგორც ყოფილ საბჭოთა ფუნქციონერს, ქართველური ორიენტაციის აფხაზ ფუნქციონერებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. არ გაგიკვირდეთ, საბჭოთა პერიოდში ქართველური ორიენტაციის აფხაზი ფუნქციონერები (ადლეიბას კლანი და ა.შ.) უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე შემდეგ. ამ სიტუაციის დასაბალანსებლად ვახტანგ ყოლბაიას დანიშვნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ (ამას ვამბობ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შორის იდეოლოგიური უფსკრულია), იმ სიტუაციაში იქნებოდა გარკვეული ამორტიზატორების შემქმნელი პიროვნების შეყვანა პროცესში. გივი ლომინაძის ახირებული, დესტრუქციული ქმედებების გამო, ეს არ მოხდა. ქართულმა ფრაქციამ ვერ წარადგინა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა და არძინბამ დანიშნა ფორმალურად ქართველი (წარმოშობით ოქუმიდან) ვაჟა ზარანდია, რომელიც აბსოლუტურად სეპარატისტული განწყობის იყო. მას ქართველის არაფერი სცხია. თავის დროზე სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა. გადაგვარებულია, მაგრამ ქართველია.

– მაინც რატომ ვერ მოახერხა ქართულმა ფრაქციამ კანდიდატურის წარდგენა?

– ეს მოხდა უმაღლესი საბჭოს ქართული ფრაქციის უსუსური ქმედებების გამო. მათ პარლამენტის სესიები მიატოვეს და გაიხიზნენ ე.წ. სტალინის აგარაკზე. კურდღლებივით გაიქცნენ. ეს იყო უდიდესი დანაშაული. თუ შენ იმ პარლამენტში რაღაცას ვერ გაიტანდი, ობსტრუქციას მაინც მოუწყობდი მთელი მსოფლიოს დასანახად არძინბას. არძინბა მიატოვეს მარტო და გაიქცნენ ცალკე. დარწმუნებული ვარ, ეს შევარდნაძის მითითებით და ლომინაძის უშუალო ზემოქმედებით თუ მოქმედებით ხდებოდა აფხაზეთში. მაშინ ლომინაძე შს მინისტრი იყო. გამოეყვნენ და გაიხიზნენ სტალინის აგარაკზე. ამას მოჰყვა დაძაბულობის ესკალაცია და რკინიგზის დაცვის საბაბით საომარი მოქმედებების დაწყება. ეს ორგანო დღემდე ფუნქციონირებს, როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭო. შარშან ამ საკითხზე ჰამერბერგს შევხვდი და სიტუაცია ავუხსენი. ჰამერბერგმა თქვა, ვიცოდი, ეს ორგანო რომ არსებობდა, მაგრამ 20 წლის წინ თუ იყო არჩეული, არ ვიცოდიო.

– ეს ორგანო დღესაც რომ არსებობს, ამას ხომ თავისი მიზეზები აქვს?

– რა ფორსმაჟორიც არ უნდა იყოს, ამ ორგანოს განუახლებლობა და მოდერნიზაციის გარეშე დატოვება ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა. სხვათა შორის, წინა ხელისუფლებას ვერ შევაგნებინე ამის აუცილებლობა. რომ ეს ნაციონალური მოძრაობა იყო ხელისუფლებაში, პარლამენტის კომიტეტების, სამინისტროების დონეზე ვერ შევაგნებინე და ვერ გავაგებინე (რამდენიმე წლის განმავლობაში ველაპარაკებოდი ამაზე), რომ ამ ფორმით, ამ სტატუსითა და ამ იმიჯით ამ ორგანოს დატოვება საქართველოსთვის წამგებიანია. ლეგიტიმური ხელისუფლება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას არ ჰყავს არც თბილისში და, მით უმეტეს, არც სოხუმში. ქართულმა სახელმწიფომ იმის პროპაგანდა კი არ უნდა გასწიოს, თბილისში განთავსებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭო არის ლეგიტიმურიო (აქეთ ჩვენ ვაცხადებთ, აქ არსებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ლეგიტიმურიაო, იქით აფხაზები ამბობენ, სოხუმში არსებული არის ლეგიტიმურიო. მოსკოვსაც ზუსტად ეს უნდა), არამედ იმის პროპაგანდა გვჭირდება, სანამ (1992-93 წლების) რუსეთ-საქართველოს ომამდელი დემოგრაფიული სიტუაცია არ აღდგება აფხაზეთში და ახალი წარმომადგენლობითი ორგანო არ აირჩევა, სხვა ნებისმიერი ორგანო იქნება არალეგიტიმური. ახლა, წარმოიდგინეთ, იმის პროპაგანდას ვახდენთ, რომ 1991 წელს არჩეული აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნარჩენები (ამ სიტყვის პოლიტიკური და სამართლებრივი გაგებით) უნდა იყოს.

– რა სახის ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს აფხაზეთის სტრუქტურებში?

– ის ხალხი, ვინც ე.წ. კოოპტაციის წესითაა შეყვანილი აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში, უნდა დაითხოვონ. კოოპტაციის წესით საკანონმდებლო ორგანოს შევსება ანტიკონსტიტუციურია. კოოპტაციის წესით ივსება თვითორგანიზებადი პოლიტიკური ორგანიზაცია. უმაღლესი საბჭოს კოოპტაციას წესით შევსება არ შეიძლება. კონსტიტუციის პირდაპირი დარღვევაა. უნდა დაითხოვონ ასევე ის პირები, რომლებიც მუშაობდნენ თანამდებობებზე. ეს კონცეფცია წინა ხელისუფლებასაც შევთავაზე.

– თუ ხსენებული კატეგორიის დეპუტატები დატოვებენ უმაღლეს საბჭოს, რამდენი დეპუტატი დარჩება?

– დაახლოებით 12 დეპუტატი დარჩება. ხელისუფლებას კონცეფციას შევთავაზებ. წინა ხელისუფლების პატარ-პატარა ჩინოვნიკუნებმა კომიტეტებისა და სამინისტროების დონეზე, რაღაც მოსაზრებების გამო ვერ შეიგნეს, რომ რეორგანიზაცია აუცილებელი იყო.

– ზედა დონეზე თანახმა იყვნენ?

– არ ვიცი, ჩემი წერილები, მიმართვები, პუბლიკაციები სად ჩერდებოდა. ცოტა ირონიას გავურევ – ვერ ვიტყვი, რომ ქართული ოცნება ეგრევე ახდება, მაგრამ, თუ ამ თვალსაზრისით უმაღლეს საბჭოში ცვლილება მოხდება, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ხელისუფლებაში, მიუხედავად დღევანდელი ხელისუფლების მიმართ ოპოზიციური დამოკიდებულებისა, მივესალმები. თუ შემეძლება და დავჭირდები, ჩემს წვლილსაც შევიტან. რაც დევნილობაში ვართ, მესმის პოლიტიკური მიზანშეწონილობა. ჩემთვის უპირველესი მიზანშეწონილობაა სახელმწიფოს კონსტიტუცია. საჭიროა მოწვეულ იქნეს საერთო-სახალხო დევნილთა ყრილობა. დევნილთა ყრილობის ჩატარების საკითხი წინა ხელისუფლებამ დაივიწყა. რაც უფრო მეტად ჩატარდება დევნილთა ყრილობა, მით უფრო, მთელ მსოფლიოს გავაგებინებთ, რომ საქართველოში დევნილები არიან. დეკლარაციები და გაეროს რეზოლუციები კარგია, მაგრამ ისეა კოლექტიური იმედგაცრუების სინდრომი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში ხელისუფლებების მხრიდან, რომ 50 ათასიც შეიკრიბება. არსებული ხელისუფლებაც მინდა გავაკრიტიკო კონკრეტულად რკინიგზის საკითხთან დაკავშირებით. ცოტა ხნის წინ, სოხუმში ე.წ. აფხაზეთის პრეზიდენტთან გაიმართა საზოგადოებრივი საბჭოს სხდომა, სადაც განიხილებოდა, მათ შორის, აფხაზეთის რკინიგზის გახსნის მიზანშეწონილობის საკითხი. აფხაზების საზოგადოებრივი საბჭო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არაფერში სჭირდებათ რკინიგზა. უკეთესია, ქართველებმა მოგვცენ სოხუმის აეროპორტის ამოქმედების ნებართვაო. მიდის სპეკულაცია, განსაკუთრებით რეინტეგრაციის სამინისტროს დონეზე, რომ ეს ხელს შეუწყობს ქართველებისა და აფხაზების რეინტეგრაციას. ეს რკინიგზა მხოლოდ და მხოლოდ ხელს შეუწყობს რუსეთს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად კავკასიაში. კერძოდ, სომხეთში არსებული გიურმის, კავკასიაში უდიდეს სამხედრო ბაზასთან რუსეთის სახმელეთო კავშირის აღსადგენად.

– ლარსის გამშვები პუნქტი, ფაქტობრივად, იმიტომ გაიხსნა სააკაშვილის დროს, რომ რუსეთს უნდოდა სახმელეთო გზა ანუ, ფაქტობრივად, რუსეთს სომხეთთან სახმელეთო გზა აქვს სააკაშვილის დახმარებით. რუსეთს საჰაერო გზაც აქვს სომხეთთან – საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენებით უკავშირდება.

– არავის ადვოკატობას არ ვაპირებ. საომარი მოქმედებების დროს სამხედრო ტვირთის გადასატანად რკინიგზა ყველაზე ეფექტურია. ეს არის რუსეთის მოთხოვნა ე.წ. დათბობის სიტუაციაში.

– საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დამთბარი არ იყო, მაგრამ სააკაშვილმა რუსებს ლარსი მაინც გაუხსნა. გვითხარით, დევნილთა ყრილობის ორგანიზება ვინ უნდა მოახდინოს?

– დევნილთა საერთო-სახალხო ყრილობა უნდა ჩატარდეს. რაიონების მიხედვით გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად დასახელდებიან ახალი დეპუტატები. მათ აირჩევს დევნილთა ყრილობა. არჩევნები უნდა ერქვას, საერთო-სახალხო ყრილობა მისცემს ლეგიტიმაციას, მაგრამ ადგილზე ჩატარებული არჩევნების ტოლფასი არ იქნება. თუმცა, ფაქტია, რომ დამყაყებული სახით სამარცხვინო ლეგიტიმურობის მატარებელი ორგანო საჭირო არ არის. ეს არის ავტონომიის ატროფირებული პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელსაც სჭირდება მოდერნიზაცია და როგორც სამართლებრივი, ისე ფორმალური რებრენდინგი.

ნინო ბურჯანაძე: „ჩვენმა ქვეყანამ საქმარისზე მეტი წვლილი და საქმარისზე მეტი მსხვერპლი გაიღო“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის თქმით, საქართველომ საკმარისზე მეტი წვლილი, უფრო მეტიც, საკმარისზე მეტი მსხვერპლი გაიღო იმ ოპერაციაში, რომელში წვლილის შეტანაც ქვეყანას თავის მოვალეობად მიაჩნდა.

„წარმოუდგენელია, რომ დღეს საქართველოში ვინმე გულგრილი იყოს სამი ახალგაზრდის, სამი ვაჟკაცის გარდაცვალების გამო. ეს ჩვენთვის მართლა ძალიან დიდი ტრაგედიაა. უპირველეს ყოვლისა, მინდა მივუსამძიმრო ოჯახის წევრებს, ახლობლებს, თანამებრძოლებს და მივუსამძიმრო სრულიად საქართველოს. მინდა გამძლეობა ვუსურვო, იმ ბიჭებს, რომლებიც დარჩნენ ავღანეთში და ძალიან სახიფათო ვითარებაში აგრძელებენ სამხედრო სამსახურს. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ, რა თქმა უნდა, საქართველო აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს მსოფლიო უსაფრთხოებისთვის ბრძოლაში, თუმცა ნამდვილად გაუგებარია, რატომ არის ჩვენი ქვეყანა წარმოდგენილი ავღანეთის სამშვიდობო მისიაში ყველაზე დიდი კონტინგენტით, მაშინ როდესაც ნატოს წევრი სახელმწიფოები, მაგალითად დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია იქ მინიმალურ კონტიგენტს აგზავნიან. ყველასათვის ცნობილია, თუ რატომ აკეთებდა ამას ძველი მთავრობა, თუმცა გაუგებარია დღეს, ახალი მთავრობის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ საქართველომ უნდა გააკეთოს იგივე, რაც გააკეთა ნატოს სხვა სახელმწიფოებმა და ამით ჩვენ შევძლებთ დამატებითი შესაძლო ტრაგედიების თავიდან აცილებას. ჩვენმა ქვეყანამ საკმარისზე მეტი წვლილი,უფრო მეტიც, საკმარისზე მეტი მსხვერპლი გაიღო იმ ოპერაციაში, რომელშიც ჩვენი წვლილის შეტანა მიგვაჩნდა ჩვენს მოვალეობად“-განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

ბიძინა ივანიშვილი გაეროს გენმდივნის მოადგილეს შეხვდა

საქართველოს პრემიერ–მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, გუშინ გაეროს გენერალური მდივნის მოადგილეს, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელ მდივანს სვენ ალკალაის შეხვდა. ინფორმაციას ამის შესახებ პრემიერის პრესსამსახური ავრცელებს.

„დიდი პატივია თქვენთან შეხვედრა, ძალიან დიდი მადლობა იმისთვის, რომ დრო გამონახეთ. საქართველოში პირველად ვარ და ამ ქვეყანას საკმაოდ კმაყოფილი ვტოვებ. ძალიან პროდუქტიული შეხვედრები მქონდა თქვენი მთავრობის მინისტრებთან. იმედი მაქვს, რომ თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება“ – განაცხადა პრემიერ–მინისტრთან შეხვედრისას სვენ ალკალაიმ.

ნიუსპრესი

„2003–2012 წლებში, მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები უნდა გადაიხედოს“

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 10 მაისიდან 17 მაისამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ 2003-20012 წლებში, სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები უნდა გადაიხედოს.

კითხვაზე - „უჭერთ თუ არა მხარს კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც 2003-2012 წლებში მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები უნდა გადაიხედოს,“ გამოკითხვაში მონაწილეთა 65,5 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, საწინააღმდეგო მოსაზრება კი 27,6 პროცენტმა დააფიქსირა.

ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხვაში მონაწილეთა 6,9 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

ზვიად ძიძიგური: „ხალხმა პოლიციას მადლობა უნდა გადაუხადოს“



უმრავლესობის წარმომადგენლის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, გუშინდელ აქციაზე ხელისუფლებამ და პოლიციამ გააკეთა მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეეძლო.

ძიძიგური მიიჩნევს, რომ საზოგადოებამ პოლიციას მადლობა უნდა გადაუხადოს, რადგან აქციაზე სერიოზული ექსცესები არ მომხდარა.

„რაც შეეხება დაპირისპირებას, ეს მანამდეც არსებობდა და ამას ჩვენ ყველანი მანამდეც ვხედავდით“, – განაცხადა დეპუტატმა.

მედიანიუსი

თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილი საქართველოს რუსეთისკენ მიაქანებს“

შორენა კოწოწაშვილი

ეროვნული მოძრაობის წევრი თამარ ჩხეიძე ივანიშვილის ხელისუფლების ნაბიჯებში სახიფათო ტენდენციასა და ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს ხედავს. ჩხეიძე ფიქრობს, რომ ივანიშვილი ბოლომდე რუსეთის ინტერესებს ემსახურება.

– დღეს საქართველოში არავის აქვს უფლება, რომ ხმა არ ამოიღოს და ეს საკითხი, რომელიც ოკუპაციის კანონს უკავშირდება, მხოლოდ ნაციონალებს მიანდოს. ნაციონალებს მეტი საშუალებები აქვთ ცნობათა გავრცელების, იგივე პარლამენტის ტრიბუნა და ამიტომ, ბუნებრივია, მათი ხმა უფრო ისმის. მაგრამ, საერთოდ, იმდენად კრიტიკული მდგომარეობაა და იმდენად დიდი საფრთხე ემუქრება საქართველოს, რომ ყველას მოვალეობაა, ხმა ამოიღოს, – აცხადებს თამარ ჩხეიძე.

რა იკითხება ხელისუფლების ნაბიჯებში და რა შეცდომა დაუსვა პრემიერმა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძესთან.

– ქალბატონო თამარ, დიდი ხმაური მოჰყვა უმცირესობის მხრიდან პარლამენტში ოკუპაციის შესახებ კანონის შეტანას. რამდენად იკვეთება ამ საკანონმდებლო ცვლილებებში სახიფათო ტენდენციები, რომელსაც საპარლამენტო უმცირესობამ საპროცედურო ომი გამოუცხადა?

– რა თქმა უნდა, გამოკვეთილია ძალიან სახიფათო ტენდენციები. ეს არის ერთი ერთი ნაწილი იმ სახიფათო ტენდენციებისა, რომელიც ამჟამად არის გამოკვეთილი ხელისუფლების პოლიტიკაში. ეს ტენდენცია, პირდაპირ რომ ვთქვათ, არის რუსეთის საქმის გაკეთება – დავალების შესრულება, იმიტომ, რომ პუტინის რუსეთს ძალიან უჭირს ჩვენ მიმართ წარმოებული აგრესიისა და ოკუპაციის შემდეგ ეტაპზე გადასვლა. მას უნდა, რომ უკვე ძალით დაპყრობილი და ოკუპირებული ტერიტორიების ლეგალიზაცია განახორციელოს და მთელი მსოფლიოს მიერ აღიარება აფხაზეთის და ოსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების, რომელიც სინამდვილეში რუსეთის ნაწილები იქნებიან და არა დამოუკიდებელი სახელმწიფოები. საქართველოდან მისი წართმევის გზა არის საქართველოს მხრიდან ამ ტერიტორიების ცნობა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და მსოფლიოს მიერ მათი ცნობა. ამისთვის რუსეთს დასჭირდა საქართველოს ხელისუფლებაში იმ გუნდის მოყვანა, რომელიც პირდაპირ მიიღებდა დავალებას, რომ თანდათანობით და შეფარვით მოახდინონ, რუსეთის ფრაზა რომ ვიხმაროთ, ახალ რეალობასთან შეგუება, როგორც მთელი მსოფლიოში, ასევე საქართველოს საზოგადოების. ამას ისინი პირდაპირ არ ამბობენ, მაგრამ სწორედ ასეთი რამეებით, როგორიც არის ოკუპაციის კანონის შერბილება, მოქმედებენ. შეიძლება 400 ლარით ჯარიმა ან პატიმრობა, ამაში კი არ იყოს მთავარი არსი, მთავარი აზრი აქ ის არის, რომ მსოფლიოს თვალში ოკუპაციის მიღებლობისადმი წინააღმდეგობა შერბილდეს. თავისთავად, დანაშაულის არსის შემცირებაც ამაში მდგომარეობს, თანაც განსხვავებული რეჟიმის წარმოშობა საქართველოს სხვა საზღვრებთან შედარებით. ეს არის აქეთკენ გადადგმული ნაბიჯი. ისინი ვერ შეძლებენ, რომ რუსეთის პირდაპირი დავალება შეასრულონ – ოკუპაციის შესახებ კანონის საერთოდ გაუქმებასთან დაკავშირებით, ამიტომ თანდათანობით კანონს რეალურ შინაარსს აცლიან. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები პირდაპირ ვერ ამბობენ, რომ საერთოდ ოკუპაციას ნუ გამოვიყენებთ და ყოველმხრივ მოვუხსნათ რუსეთს დისკომფორტი, რაც კი აქვს იმით, რომ მსოფლიოში ის ოკუპანტად არის ცნობილი. ამას პირდაპირ ვერ ამბობენ, თუმცა რამდენჯერმე შეუტიეს ტერმინებს „ოკუპირებული“, „ოკუპაცია“. რამდენჯერმე თქვეს იმავე რესპუბლიკელების პირით, რომ არ არის საჭირო ასე ცალკეულ ტერმინებზე თავის გამოდება. ამიტომ ვამბობ, რომ ამას ისინი ებრძვიან, მაგრამ პირდაპირ ვერ ამბობენ, კანონი საერთოდ გავაუქმოთო, ამიტომ მას თანდათანობით რეალურ შინაარსს აცლიან. ეს იგივე რიგის მოვლენაა, როგორიც არის მოთხოვნა, რომ ჩვენ აღვადგინოთ რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი, რომ მხარეებად ვცნოთ აფხაზეთი და ცხინვალი; საერთოდ, ნაკლებად შევაწუხოთ ევროპა ამ ოკუპაციის პრობლემით. აი, ეს არის ამ ხელისუფლების დღევანდელი მოქმედებები და გეგმა.

– კოსოვოსთან მიმართებით სწორად კეთდება ანალოგიის მოყვანა?

– ეს არის დანაშაული. პირდაპირ გეტყვით, კოსოვოსთან ანალოგიის გავლება. ეს არის პირდაპირი დავალება რუსეთის და სახელმწიფო დანაშაული, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, იქსულ სხვა რამ მოხდა. სერბებს მთელი მსოფლიოს წინაშე ადანაშაულებენ კოსოველი ალბანელების გენოციდსა და ეთნოციდში. ჩვენთან პირიქითაა. ჩვენთან მსხვერპლი იყო ქართველი მოსახლეობა ანუ საქართველო არის მსხვერპლი. იქ პირიქით იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ქართველებს არავინ ადანაშაულებს გენოციდსა და ეთნოციდში, მათ სურთ, რომ აქაც ანალოგიური პროცესები წავიდეს და საქართველო „დაისაჯოს“ და ჩამოერთვას აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ანუ მსოფლიომ აღიაროს, რომ ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობა ანუ კოსოვოს ანალოგია აწყობთ. მართალია, ივანიშვილს არ წამოუწყვია კოსოვოს ანალოგიაზე საუბარი, მაგრამ მას კითხვა დაუსვეს და პრემიერმა სრულიად არასწორად ახსენა კოსოვო ჩვენს კონტექსტში. კიდევ უფრო აღმაშფოთებელია, როდესაც ხელისუფლება ხაზს უსვამს რაღაც გამოძიების აუცილებლობას, რომლის თითქოს მოვალეობა გვაქვს. ხელისუფლების გამოთქმებში არაერთხელ ითქვა, რას უმიზნებენ. ისინი უმიზნებენ სააკაშვილს ომის წამოწყებაში, ზოგი პირდაპირ და ზოგი გადაკვრით, აგრეთვე ოსებისადმი თითქოსდა არასწორ მოპყრობაში და სამხედრო დანაშაულში. რაც აბსოლუტური მარაზმია. აქ მთავარი ის არის, რომ სააკაშვილი არის ქართული მხარე. ისინი ქართულ სახელმწიფოს ისეთ ბრალდებებს უყენებენ, რომელიც რუსეთის გარდა, მსოფლიოში არავის წამოუყენებია. ყველამ კარგად იცის, რომ ქართველებს არც აფხაზებისა და არც ოსებისადმი არ ჩაუდენიათ არც ეთნოწმენდა და არც გენოციდი. ამ ხელისუფლებას კი უნდა ამაში ქართული მხარე დაადანაშაულოს. არის კიდევ ტერორისტების მომზადების ბრალდება, რომელიც სრულიად დაუსაბუთებელია.

– ანუ საკმაოდ სახიფათო ნაბიჯებს დგამს ახალი ხელისუფლება საგარეო კურსთან მიმართებით.

– მართლაც უკიდურესად სახიფათო ტენდენციაა. ბუნებრივია, ყველა სფეროშია საკრიტიკო, მაგრამ ყველაზე მეტად ის სიტუაცია მაფიქრებს, რომ თუკი, ვთქვათ, წინა ხელისუფლებების დროს ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების გადადგმული ნაბიჯი აღიქმებოდა, როგორც რუსეთისათვის ხელსაყრელი, აქ ყველა წინა ხელისუფლებას ვგულისხმობ, ამჟამად, ფაქტობრივად, რუსეთი უკვე გავლენას კი არ ახდენს საქართველოს ხელისუფლებაზე, არამედ, შეიძლება ითქვას, რუსეთის ხელისუფლება უშუალოდ საქართველოს ხელისუფლების სათავეშია მოსული და პირდაპირ ახორციელებს თავის პოლიტიკას. ეს ძალიან საშიშია. ლოზუნგის სახით დარჩა ლაპარაკი ევროატლანტიკურ ორიენტაციაზე, ოკუპაციაზე. დარჩა ტერიტორიულ მთლიანობაზე ცარიელი ლოზუნგი, მაგრამ შინაარსი, რაც ამ ცნებებს ამაგრებს და მათ ქმედუნარიანს ქმნის, ეს ხელისუფლება ყოველდღიურად ძირს უთხრის. ყველა თავის გამოსვლაში, პაატა ზაქარეიშვილი იქნება ეს თუ პირადად ბიძინა ივანიშვილი, ნანუაშვილი და სხვ. მთელი ეს გუნდი პირდაპირ რუსეთის დავალებაზე მუშაობს, რომ ძირი გამოუთხარონ ამ ტერმინებს, შინაარსი გამოაცალონ. თვითონ ტერმინ „ოკუპაციაზე“ ჯერ უარს ოფიციალურად ვერ ამბობენ, მაგრამ შინაარსს აცლიან და შინაარსგამოცლილი ტერმინი დროთა განმავლობაში, ასე ვთქვათ, მოკვდება.

– ობიექტურად ამბობენ, რომ ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო კურსი აიღო კოალიციურმა ხელისუფლებამ?

– ეს ჩემთვის სრულიად ნათელია და ძალიან მიკვირს, როცა ამას ვიღაც ვერ ხედავს. უფრო სწორად, ყველა ხედავს, უბრალოდ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს აწყობს პრორუსული ორიენტაცია და დადებითად მიაჩნია, ზოგს კი, უბრალოდ, არ აწყობს, რომ დაინახოს. თავისთავად ამის არდანახვა ძალიან ძნელია. რომელი ერთი ჩამოვთვალო: მოსვლისთანავე დაიწყეს ლაპარაკი რკინიგზის გახსნაზე, რომელიც აშკარად რუსეთის სტრატეგიული ინტერესია. ამის გაკეთება სამაგიეროს მიღების გარეშე ანუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე ან აკეთებენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯების გარეშე, არ შეიძლება. აფხაზეთის და ოსეთის მხარეებად ცნობაზე დაიწყეს ლაპარაკი. ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის შემსუბუქებაზე დაიწყეს ლაპარაკი. რომელ შემსუბუქებაზე შეიძლება ლაპარაკი, მაშინ როდესაც რუსეთის მხრიდან არანაირი ნიშანი არ არის იმისა, რომ ის აპირებს რაიმე ნაბიჯების გადადგმას ამ მიმართულებით, თუნდაც საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად და ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციისთვის, არამედ, პირიქით, საზღვარი კიდევ აქეთ გადმოსწია. ყოველდღიურად რაღაც ინციდენტები ხდება. ამაზე ხელისუფლება ხომ არავითარ განცხადებას არ ავრცელებს. ძალიან შემაშფოთებელია და რუსეთის პირდაპირი დავალებაა მილოშევიჩის კონტექსტში სააკაშვილის ხსენება. სააკაშვილის ადვოკატი არასოდეს ვყოფილვარ და ყოველთვის ოპოზიციურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ ამისი არ გაგება და არცოდნა, რომ ოფიციალური ხელისუფლება, რაც არ უნდა ერქვას ამ წუთში პრეზიდენტს, სააკაშვილი თუ სიკინჭილაძე, ოფიციალურად ის წარმოადგენს იმ ქვეყანას, რომლის ხელისუფალიც ის არის. ამდენად, ესენი მუშაობენ იმაზე, რომ საქართველო დაადანაშაულონ, სააკაშვილი აქ მეორეხარისხოვანია; საქართველო დაადანაშაულონ თითქოს ოსებისა და აფხაზების მიმართ ჩადენილ დანაშაულში. სხვათა შორის, ის ნანუაშვილი, რომელიც ამ ხელისუფლებამ დანიშნა სახალხო დამცველად, ის მეთაურობდა მოძრაობას „ბოდიშით“, სადაც ადამიანები, რომელიც გამოაგდეს თავისი მიწებიდან და ყველაფერი წაართვეს, აწამეს, დახოცეს, სწორედ ამ მხარეს აბრალებდა მომხდარს და ბოდიშის მოხდას მოითხოვდა. ამჟამად წამოწყება ვითომ გამოძიების, თორემ ზოგადად, საერთაშორისო მასშტაბით, აგვისტოს ომი გამოძიებულიც არის და დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომის პერიოდი გამოძიებულ იქნეს იმ კუთხით, რამდენად ეფექტური იყო ხელისუფლების მაშინდელი მოქმედება, ყველა სამხედრო თუ არასამხედრო პირი ასრულებდა თუ არა ამ პერიოდში თავის მოვალეობას. ასეთი საკითხების გამოძიება ბუნებრივიც იქნებოდა, მაგრამ, ხომ ყველამ კარგად ვიცით და არაერთხელ წამოსცდათ აგვისტოს ომის გამოძიების მომხრეებს, სინამდვილეში რას გულისხმობდნენ ისინი ამ გამოძიებაში. ისინი ამაში გულისხმობენ თითქოს ამ კონფლიქტში, ე.წ. სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან ქართულ მხარეს მიუძღვის დანაშაული. მაშინ, როდესაც ქართული მხარე არის მსხვერპლი. მას წაართვეს მიწები, ქართველები გამორეკეს ამ ტერიტორიებიდან, საქართველომ განიცადა აგრესია და მისი ტერიტორიებია ოკუპირებული, მისი საზღვარი დაირღვა. ასე რომ, ნათელი სიტუაციაა საერთაშორისო თვალსაზრისით. ასეთ დროს ქართული მხარის დადანაშაულება, სრულიად არა აქვს მნიშვნელობა პრეზიდენტი სააკაშვილი იქნება თუ ქიბაროწაშვილი, ქართული მხარის დადანაშაულება ძალიან მარტივ ფორმულირებას ემსახურება. იმდენად გათავხედდნენ, რომ დავითაშვილმა და სხვებმაც მილოშევიჩიც კი ახსენეს. მილოშევიჩი რას ნიშნავს? მილოშევიჩი-სერბეთი-კოსოვო. სრულიად ნათელია, თუკი მხარე დამნაშავეა მეორე მხარის მიმართ ჩადენილ დანაშაულში, არ აღიარების პოლიტიკას ძირი გამოეთხრება. როგორ ფიქრობთ, ეს ვისი დავალებაა? ჩემთვის პირადად ნათელია, ვისი მხრიდანაც მოდის, რომ ამ პოლიტიკას გამოეთხაროს ძირი. რუსეთმა სხვანაირად ამ პოლიტიკას ვერაფერი ვერ მოუხერხა, ამიტომ ასეთნაირად საქართველოს ხელისუფლების ხელით უნდა ეს გააკეთოს.

– აგვისტოს ომის გამოძიების წინ წამოწევით ხელისუფლების ნაბიჯებში რუსული ინტერესები იკვეთება?

– კი არ იკვეთება, ეს არის პირდაპირი ერთი ერთზე, რასაც რუსეთი მოითხოვს, იმის გაკეთება საქართველოს ხელისუფლების ხელით. ჩვენი ხელისუფლების გარეშე რუსეთი ზოგადად ვერაფერს გააკეთებს. ამიტომ უნდა ეს ამ ხელისუფლების ხელით გააკეთოს. პირდაპირ აღიარებაზე ვერ მიდიან. ამიტომ ახლა ამ გზით შემოუარეს ანუ თვითონ ვერ ბედავენ ოკუპირებული ტერიტორიების აღირებას, მაგრამ, როგორც კი ქართული მხარე იქნება დადანაშაულებული, ტყუილად იძახიან, ეს სააკაშვილს ეხებაო. როგორ შეიძლება, იურისტმა კი არა, ნებისმიერმა ადამიანმა ეს არ იცოდეს, რომ ხელისუფლება წარმოადგენს იმ ქვეყანას, რომლის ხელისუფლებაც არის და, რაც მთავარია, არასამართლიანია ეს დადანაშაულება. როგორც კი საქართველოს მხარე იქნება დადანაშაულებული და თანაც ამას რუსეთი კი არ გააკეთებს, არამედ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, მაშინვე ძირი გამოეთხრება კბილებით დაკავებულ არაღიარების პოლიტიკას, იმიტომ რომ სხვა ქვეყნები ბუნებრივად იტყვიან, თვითონ ქართველები ყოფილან დამნაშავე და ჩვენ რაღა თავს ვიკლავთო. ეს ჩვეულებრივი რამ არის. ნამდვილად არ მგონია, ეს ჩვენ ხელისუფალს არ ესმოდეს. რადგან, არა მგონია, რომ ასეთი სულელები არიან. ვფიქრობ, შეგნებულად აკეთებენ.

– გამოდის, ეროვნული უსაფრთხოების საკითხები საკმაოდ დიდ ყურადღებას საჭიროებს. პრემიერმა მიანიშნა, რუსეთს საფრთხედ არ განვიხილავთო.

– ის, რაც პრემიერმა თქვა, რომ რუსეთს მთავარ საფრთხედ არ განვიხილავთო, წარმოუდგენლად აღმაშფოთებელი რამ არის. როგორ, მოიხსნა ოკუპაციის ფაქტორი? გავიდნენ რუსები ჩვენი საზღვრებიდან? თუ როგორ არ განიხილავს... ძალიან აღმაშფოთებელი განცხადებაა და ეს ხდება მაშინ, როდესაც რუსები, პირიქით, აქეთ და აქეთ მოდიან, პრემიერი კი ამბობს, თურმე რუსეთიდან საფრთხე არ არსებობს. ეს არის წარმოუდგენელი რამ. ეს რომ რომელიმე სხვა ქვეყანაში მომხდარიყო, სადაც სამოქალაქო საზოგადოება არსებობს, ხელისუფალს მაშინვე გადადგომა მოიწევდა, იმხელა დანაშაულია ზოგადად ასეთი აზრის გამოთქმაც კი.

– ივანიშვილის ხელისუფლებამ უფრო სახიფათო ნაბიჯები გადადგა რუსეთთან მიმართებით თუ სააკაშვილმა თავის დროზე? ეს ტენდენცია ქვეყნის მდგომარეობას გაართულებს?

– რა თქმა უნდა, სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც მქონდა მსგავსი საფრთხეების შეგრძნება და წინა ხელისუფლებასაც ვაფრთხილებდით, რომ არ ყოფილიყო რაიმე ისეთი ნაბიჯი გადადგმული, კონკრეტულად კონფედერაციული კავშირის გასაფორმებლად. მაშინაც ვშიშობდით ამას, მაგრამ ეს საფრთხე განსაკუთრებით გამოიკვეთა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.

– ღიად იკითხება, რომ საქართველომ პრორუსული კურსი აიღო?

– რა თქმა უნდა. ამ ხელისუფლებას აბსოლუტურად არ უშლის რუსეთი, რომ შიგადაშიგ იძახოს: ნატო-ნატო, იმიტომ რომ ეს ლოზუნგი რუსეთს არაფერში აბრკოლებს. მაგრამ რეალურად საქმე რაშიც გამოიხატება, ყველაფერი კეთდება, რომ რუსეთმა მოახერხოს და შემდეგი ნაბიჯი გადადგას საქართველოს ტერიტორიების მითვისებისკენ. მე ყველაზე მეტად ეს მითვისების ფაქტორი მაფიქრებს. რაც შეეხება რაიმე ახალ კავშირში საქართველოს შეთრევას, ჩვენი ხელისუფლება სიამოვნებით მოემსახურებოდა ამ მიზნებს, მაგრამ ეს მიზნები მე, პირადად, საკმაოდ არარეალურად მესახება. იმედი მაქვს, რუსეთი ამას ვერ განახორციელებს, იმიტომ რომ ეს მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებაზე არ არის დამოკიდებული. ეს გლობალური პროცესია და ამ გლობალურ პროცესს რუსეთი ასე ელემენტარულად ვერ უგულებელყოფს. მე საფრთხეს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების მიტაცების ლეგალიზაციაში ვხედავ და ამის მეშინია, იმიტომ რომ აქეთკენ არის ყველა ის ნაბიჯი გადადგმული, რასაც ჩვენი ხელისუფლება აკეთებს და ამას ემსახურება ის განცხადებებიც, რომლებიც ევროსაბჭოში ისმის. „ქართული ოცნების“ ორიენტაციის გასაგებად თითოეული მათი ნაბიჯიც საკმარისია. როდესაც ევროპელები გამოთქვამენ კრიტიკას ამა თუ იმ ნაბიჯის მიმართ, ასეთი კრიტიკა ადრეც იყო წინა ხელისუფლების დროს, შეიძლება, ასე ინტენსიურად არა, რადგან იმ ხელისუფლებას ჰქონდა გარკვეული უნარი, რომ გარკვეული ფორმა მიეცა თავისი მოქმედებებისთვის და ეს ნაკლებად გაუგებარი ყოფილიყო ევროპისთვის. მაგრამ, საკმარისია, დღეს ევროპელებმა რაიმე კრიტიკა გამოთქვან ამ ხელისუფლების მიმართ, რომ იწყება უშვერი ლანძღვა-გინება და ყოვლად არადიპლომატიური განცხადებები, ეს მაშინ, როდესაც რუსეთი აქეთ საზღვრებს სწევს და ამაზე არავითარი რეაქცია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არ არის. ვიმეორებ, ეს ტენდენცია, რასაც ივანიშვილის ხელისუფლება ახორციელებს, საქართველოსთვის არის სახიფათო. აგრესიას და ოკუპაციას ვერ აგდებენ საუბრიდან, მაგრამ ამბობენ, რომ ეს ყველაფერი ჩვენივე მოქმედებებმა გამოიწვია; რომ თითქოს რუსეთი არაფერ შუაშია. ეს ანტისახელმწიფოებრივი ტენდენციაა.

დავით შემოქმედელი: „საქართველოში აზროვნების ლიკვიდაცია მიმდინარეობს“

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა და პოეტმა დავით შემოქმედელმა 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით ლექსების კრებული გამოსცა, რომელსაც „ხსოვნის ანაბეჭდები“ უწოდა. იგი მიწვეული იყო ერევანში პოეზიის მსოფლიო ფესტივალზეც, სადაც ქართულ დელეგაციას სომხეთში საქართველოს ელჩმა უმასპინძლა. ერევანში გაიმართა მისი ნოველების „რატომ ტირიან ჩიტები ზამთარში“ თარგმანის წარდგინება. ნოველები მაყვალა გეურგოვამ თარგმნა, რედაქტორები ლევონ ანანიანი და გაგიკ დავთიანი არიან, მხატვარი კი არტაკ ბაღდასრიანია.

როგორი ლექსები შევიდა ერთტომეულში, როგორ უმასპინძლეს ქართულ დელეგაციას ერევანში პოეზიის მსოფლიო ფესტივალზე და რა სიახლეები აქვს რუსთაველის საზოგადოებას, ამაზე პოეტი და მწერალი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

დავით შემოქმედელი:

– წელს 60 წელი შემისრულდა და ამ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა ჩემი საიუბილეო წიგნი „ხსოვნის ანაბეჭდები“, რომელშიც შესულია მხოლოდ პოეზია – რითმიანი ლექსი, მინიატურები, მინიმალისტური პოეზია ხალხურ მოტივებზე და 9 პოემა. წიგნი სულ ახალია და ჯერ მაღაზიებში არ გასულა გასაყიდად. ყველაზე სრული გამოცემაა პოეზიაში, მერე გამოცემ პროზას და შემდეგ უკვე წერილების წიგნს. პოეზია ერთტომეულად გამოვეცი, ყველაფერი ცალ-ცალკე გამოვა. თავიდან ვიფიქრე, რომ სამტომეული ყოფილიყო, მაგრამ სპეციფიკურად სხვადასხვაა და ამიტომ არ გავაერთიანე.

– როგორ გიმასპინძლეს პოეზიის მსოფლიო ფესტივალზე?

– აპრილის ბოლოს ერევანში ვიმყოფებოდით პოეზიის მსოფლიო ფესტივალზე. მასში მონაწილეობდა 27 ქვეყნის 50-მდე სახელგანთქმული და გამოჩენილი პოეტი. ბედნიერი ვიყავი, რომ მათ გვერდით აღმოვჩნდი. ერთ-ერთი ასეთი დიდი პოეტი იყო ლიბანიდან ადონისი. ის არაბია და ზედიზედ სამჯერ გავიდა ნობელის პრემიის ნომინანტთა პირველ სამეულში. მართალია, ნობელი არ აიღო, მაგრამ ზედიზედ სამჯერ სამეულში მოხვდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მან თავის შემოქმედებაში გააერთიანა სუფიზმი და სიურეალიზმი, წერს მცირე ფორმის ლექსებს, არის ძალიან საინტერესო პიროვნება, დავმეგობრდით და, ვფიქრობ, ასეთი კონტაქტები დიდ ლიტერატურასთან არის ხაზი იმისა, რომ საქართველო მოსწყდეს ჩაკეტილობის ორბიტას. წინათ საქართველოში იყო მწერალთა კავშირთან არსებული მთარგმნელობითი კოლეგია, რომელიც ამზადებდა ქართულ ბწკარედებს, თარგმნიდა მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე და ისინიც თარგმნიდნენ თავიანთ ბწკარედებს. ეს კოლეგია გაუქმდა, ამას წინათ დამჭირდა და გაუბედურებულია ყველაფერი. ბევრი საქმეა ქართულ კულტურაში, სჯობს, ყველამ მივხედოთ და ერთიანი ძალებით ვიშრომოთ, მაშინ საერთაშორისო ფესტივალების გამასპინძლების საშუალება ჩვენც გვექნება.

– საქართველოდან მხოლოდ თქვენ იმყოფებოდით ამ ფესტივალზე?

– არა. საქართველოდან სტუმრის სტატუსით ვიყავით მიწვეული მე, მთარგმნელი ანაიდა ბოსტანჯიანი, ჟორა სნრხჩიანი. ესენი საქართველოში მცხოვრები სომხები არიან. ჩვენ, მწერალთა კავშირს, გვაქვს განყოფილება, სადაც ეთნიკური უმცირესობების შემოქმედები არიან გაერთიანებული. ასევე ჩვენთან ერთად იყო მერაბ მეტრეველი, რომელიც არის სკულპტორი და პოეტი. ეს ღონისძიება ძალიან მასშტაბური და გრანდიოზული იყო. ქალაქში რომ შევედით, იგრძნობოდა, რომ მთელი ქვეყანა ემზადებოდა ამ ფესტივალისთვის. ამდენი ქვეყნის პოეტი იყო მიწვეული და ამიტომ ყველაფერი მაქსიმალურ დონეზე იყო გაკეთებული.

ღონისძიების პირველ დღეს წავედით ეჩმიაძინში და შევხვდით სრულიად სომხეთის კათოლიკოს გარეგინ მეორეს. ჩვენთვის, ჩვენი ისტორიული მდგომარეობის გამო, ზოგჯერ მწვავე დაპირისპირების, ზოგჯერ გაუგებრობის, ზოგჯერ ძალიან კეთილი მეზობლობის პოლიტიკაა და ამიტომ მნიშვნელოვანი იყო ეს შეხვედრა. მეზობელი სახელმწიფოა და ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო ეს შეხვედრა. ამის შემდეგ წავედით და ვნახეთ მატადარანი. ეს არის მუზეუმი, სადაც ხელნაწერთა მუზეუმია განთავსებული. ეს არის უდიდესი მუზეუმი და საოცარი ექსპონატებია დაცული. სომხეთში გაიხსნა პოეზიის ბაღი, სადაც პატივი მხვდა წილად, რომ საქართველოს პოეზიის ხე დამერგო. იყო შეხვედრები მკითხველებთან, ტარდებოდა კონფერენციები იმ მიმართულებებზე, რაც თანამედროვე პოეზიაში აქტუალურია. ითქვა ის მოსაზრებაც, რომ პოლიტიკის ენაზე საუბარს სჯობს, ადამიანები ერომანეთს პოეზიისა და ლექსის ენაზე ესაუბრებოდნენ, რადგან ამ თანამედროვე აგრესიულ მსოფლიოში პოეზიის ენა, ალბათ, ერთ-ერთი ენაა, რომელიც ადამიანებს ერთმანეთთან დაუახლოებს. მიმაჩნია, რომ ამ პერიოდში, როდესაც მსოფლიოს ქვეყნებს შორის საოცარი აგრესია და პოლარიზაციაა, ერთი მხრივ, პატარ-პატარა ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების, მეორე მხრივ, ინტეგრაციის, მსოფლიო ორი განსხვავებული კუთხით მიდის. პოეზია არის გზა იმისა, რომ არა მარტო კულტურული და მწერლობის დაახლოება მოხდეს, არამედ ერებს შორის ურთიერთობა დათბეს. ამის შემდეგ ჩემთვის იყო დიდი სიურპრიზი, რომ სომხეთში გამოვიდა ჩემი მოთხრობების კრებული. ის თარგმნა მაყვალა გეურქოვამ, რედაქტორები არიან ლევონ ანანიანი და გაგიკ დავთიანი. მინდა აღვნიშნო, რომ სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო ჩემი წიგნის წარდგენა. საკმაოდ თბილი შეხვედრა იყო. სომხეთში ასევე არსებობს რუსთველოლოგიური კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს სომეხი მეცნიერი გრაჩია ბაირამიანი. უნივერსიტეტში მოეწყო ძალიან თბილი შეხვედრა სტუდენტებთან. ჩემთვის გასაოცრად, რამდენიმე ქართველი ცხოვრობს და ჩემი ლექსები იცოდნენ ზეპირად, ინტერნეტით შეუსწავლიათ, რაც ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის. ამის შემდეგ მოეწყო ჩემი წიგნის წარდგენა. სომხეთის ქართულმა საელჩომ ძალიან თბილი შეხვედრა მოგვიწყო და მინდა, მადლობა ვუთხრა საქართველოს ელჩს სომხეთში თენგიზ შარმანაშვილს, მანქანები გამოგვიყო, დასამახსოვრებელი და თბილი შეხვედრა იყო.

სპეციალურად ამ დღისთვის გამოვიდა მსოფლიო პოეზიის ანთოლოგია, რომელშიც შეტანილია ჩემი ლექსები. ჩვენ ასევე ვიყავით სომხეთის გენოციდის ადგილას, სადაც მემორიალური კომპლექსი დგას და მას ვერცხლის ციხეს ეძახიან. ორი წლის შემდეგ 100 წელი შესრულდება სომხების გენოციდიდან და უზარმაზარ მემორიალურ კომპლექსს აშენებენ.

– როგორია კულტურული პოლიტიკა სომხეთში?

– სომხეთში კულტურის პოლიტიკა არის ერთ-ერთი პრიორიტეტი. ამაზე, ალბათ, ჩვენ ვერასოდეს ვიოცნებებთ. არათუ კულტურული პრიორიტეტი, რომელიმე დარგის სფეროც კი ჩვენთან საკმაოდ შევიწროებულ მდგომარეობაშია, ვიდრე სომხეთში. რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ამან, ამაზე საუბარი დიდხანს შეიძლება. ერთ მაგალითს ვიტყვი, რომელსაც კომენტარიც არ სჭირდება – იუნესკოს მონაცემებით, საქართველო წიგნიერების მხრივ მსოფლიოში მიჩნეულია ერთ-ერთ ჩამორჩენილ ქვეყნად, ხოლო 2012 წელს იუნესკომ სომხეთი აღიარა მსოფლიო წიგნის დედაქალაქად. მგონია, რომ ამით ყველაფერია ნათქვამი. აქედან წავედი სევანის გზით და წამოვედი მეორე გზით. ამ დიდი ღონისძიების ბოლოს გაიმართა გრანდიოზული ღონისძიება, სადაც სომხეთის ერთ-ერთ ვიცეპრემიერს ვუთხარი, რომ ჩვენი ინფრასტრუქტურა ნამდვილად სჯობს სომხეთისას, მაგრამ ისიც ვუთხარი, რომ თითქოს ასე ჩანს, ჩვენი ინფრასტრუქტურა თქვენსას სჯობს, მაგრამ, რა სახსრებსაც თქვენ კულტურას ახმართ, ამაზე ჩვენ ვერც კი ვიოცნებებთ და მაინტერესებს, ამ პრიორიტეტებს როგორ განსაზღვრავთ-მეთქი. მან მითხრა, თქვენსავით ჩვენც ვართ მცირერიცხოვანი ერი, ჩვენ არ ვართ არც რუსეთი, არც ჩინეთი, არც ამერიკა, ამიტომ ჩვენ სხვა არჩევანი არ გვაქვს, თუ ჩვენს ეროვნულ ტრადიციებს – კულტურას, ხელოვნებას, მწერლობას არ ავიღებთ პრიორიტეტად, გავქრებითო. ეს არის მთელი ჩვენი უბედურების ნიშანი. ჩვენ, პირველ რიგში, საკუთარ კულტურას უნდა მოვუფრთხილდეთ. ამაში სომხეთი ნამდვილად მისაბაძია. მურმან ლებანიძეს უწერია არაჩვეულებრივად: „იცნობ მეზობელს, ჩასწვდომიხარ სიკეთეს მისას, ოფლს ღვრის? ღვრიდე! ფხიზლობს? ფხიზლობდე! და ძილგამკრთალი გარს უვლიდე სამშობლოს მიწებს!“ ამით მურმან ლებანიძე გვეუბნება, როგორც ის ფხიზლობს და აკვირდება სიტუაციას, ჩვენც ასევე უნდა ვიფხიზლოთ. რა თქმა უნდა, ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში ბევრი რამ მოსაგვარებელია, რა თქმა უნდა, შეჯიბრება ფეხბურთის თამაშივით ისტორიის დაძველების შესახებ, რომელზეც ზოგჯერ მეზობლებს წაუცდებათ ხელი, იშვიათად შეიძლება ჩვენც, უფრო ხშირად მათ, ეს ნამდვილად არის მოსაგვარებელი, რადგან ეს არ აისახება ურთიერთობებზე და ამას უნდა ორივე მხრიდან ობიექტური მიდგომა. ამაში, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ფაქტორიც უნდა იყოს ჩართული.

გაირკვა, რომ ასეთივე მსოფლიო მნიშვნელობის ფესტივალი ტარდება ერევანში როგორც ფოლკლორში, ასევე მხატვრობაში, ცეკვაში, სიმღერაში. ჩვენ ქართველ მწერალთა ჯგუფთან ერთად 3-4 წლის წინ ვიყავით სომხეთში და მაშინ მითხრეს სომეხმა მეგობრებმა, რომ შარლ აზნავურმა 100 მილიონი დოლარი გადასცა სომხეთის კულტურის მესვეურებს, რომ ეს თანხა მოხმარდეს კულტურას.

– ჩვენთან მთავრობა შეიცვალა, მოვიდა ახალი მინისტრი. როგორია ქართული კულტურული პოლიტიკა?

– ხელისუფლებამ თავისი პრიორიტეტები უკვე გამოაცხადა – ეს არის სოფლის მეურნეობა, განათლება და ჯანდაცვა. ჯერჯერობით ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკა არ არის მიმართული კულტურისკენ. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ თუ გვინდა, საქართველოს ფორმულა ვიცოდეთ, საქართველო – ეს არის ქართული კულტურა, სხვა ყველაფერი არის ზედნაშენი. ცნობიერებაზე დგას ყოფიერება დიდ კულტურულ ერებში, ჩვენ კი გვინდა, რომ ყოფიერებაზე დავდოთ ცნობიერება, მაგრამ ქვეყანამ უნდა იარსებოს თავისი კულტურით. თუ გვინდა, დანარჩენ მსოფლიოს ჩვენი სახე დავანახვოთ, უნდა ვაჩვენოთ ჩვენი კულტურა. სხვა ვერაფრით მოვაწონებთ თავს, ვერც ჩვენი ნანოტექნოლოგიებით, ვერც ეკონომიკური წინსვლით, მხოლოდ და მხოლოდ კულტურით შეგვიძლია მსოფლიოს გაოცება. ადრეც ვამბობდი და ახლაც ვიტყვი, ჩემთვის მისაბაძი მაგალითი არის იაპონია. მათ აქვთ თავიანთი რელიგია. მასზე დაყრდნობით ეს ქვეყანა, ერთი მხრივ, ტრადიციულ ფორმას ინარჩუნებს და არავისში შეგეშლება, აბსოლუტურად თავისებური კულტურა აქვს, კუროსავა და აკუტაგავა არასოდეს აგერევა სხვაში. ეს სრულიად ორიგინალური და დიდი ხელოვნებაა და, მეორე მხრივ, ტექნოლოგიების მხრივ ის ერთ-ერთი პირველია და მასთან შედარებით ამერიკა არის მეათე ან მეცამეტე ადგილზე. ჩვენ ვართ უკუღმა, ვცდილობთ ამერიკის და დასავლეთის მეორად კულტურას მივბაძოთ. ჯერ მიბაძვა საერთოდ ცუდია, მაგრამ, თუნდაც ბალზაკს მივბაძოთ ან სტაინბეკს, სულ სხვაა, მაგრამ ჩვენ ქუჩურ ამერიკასა და მეორად კულტურას ვბაძავთ. ამით ჩვენი სახე დავკარგეთ. ამის მაგალითია ჩვენი ესტრადა და თანამედროვე ზოგიერთი ჩვენი მწერლების ნაწარმოებები. სამწუხაროდ, მათი ნაწარმოებები უფრო გადიან საზღვრებს გარეთ, მთავრობა ეხმარება მათ. რომელ პოეტებსაც ყველაზე ხშირად ვხედავთ ტელევიზიების ეკრანიდან და რა პოეტებსაც ისინი რეკლამას უკეთებენ, მათ ქართველი მოაზროვნე საზოგადოება არ მიიჩნევს სერიოზულად. თუ მართლა ეს არის მხოლოდ ქართული კულტურა და ხელოვნება, მაშინ ის მართლაც არ იმსახურებს პატივისცემას. ტექნიკის მხრივ კი ჯერ სოფლებში კიდევ ურემს ვიყენებთ, მაშინ როცა მთელი მსოფლიო კომპიუტერულ ტრაქტორზეა გადასული.

– ახალ კულტურის მინისტრს თუ გააცანით თქვენი პრიორიტეტები?

– კულტურის ახალი მინისტრი ჩემი მეგობარია, ძალიან კარგი პიროვნებაა, კოლეგაა, ინტელექტუალია, უაღრესად ერუდირებული, მაგრამ ცოტა ნელა მიდის პროცესები. ზედმეტი დემოკრატიაა, ყველაფერი გადაცემულია კომისიებში, მერე ისინი განიხილავენ, რამდენიმე პროექტი მეც მაქვს მიტანილი და ვნახოთ, რა იქნება.

– რა პროექტები გაქვთ მიტანილი?

– რუსთაველის საზოგადოების სახელით გვაქვს პროექტი, რომ საქართველოში სისხლხორცეულად აუცილებელია იყოს არხი „კულტურა“. ყველა განვითარებულ ცივილიზებულ ერს აქვს ეს არხი, რომელიც თავისი კულტურის იდენტობას გამოხატავს, აქვთ დისქვაერებიც, ისტორიაზე არხები, მაგრამ „კულტურა“ არხი არის აუცილებელი. თუკი „კომედი შოუს“ აქვს ცალკე არხი, მთელ ქართულ კულტურას, დაწყებული გრიგოლ ხანძთელიდან, გენიალური მუსიკითა და ფერწერით დამთავრებული, რატომ არ უნდა ჰქონდეს? ჩვენი მწერლობა და ხელოვნება სულს ღაფავს, ამ დროს შოუს წამყვანს 9800 ლარი აქვს ხელფასი. მგონია, რომ კულტურის მიმართ ასეთი დამოკიდებულება არ მოიტანს კარგ შედეგს.

– ბოლო დროს ქართულ ენაში ბევრი უცხოენოვანი სიტყვა დამკვიდრდა, აბრებიც კი ინგლისურ ენაზეა მაღაზიებზე. რუსთაველის საზოგადოებას რა აზრი აქვს ამ საკითხზე?

– ჩვენ ამაზე შეხვედრა გვქონდა რუსთაველის საზოგადოებაში. როდესაც სომხეთში ვიყავი, აბსოლუტურად ყველა აბრა იყო სომხურ ენაზე. თუკი სადმე რუსულად ან ინგლისურად აწერია, ისიც ძალიან წვრილად. ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ხარ თავმოყვარე ერი და შენს სახელმწიფო ენას, ერთ-ერთ ატრიბუტს აქცევ ყურადღებას. არ შეიძლება, უცხოელი ჩამოვიდეს აქ და ისეთი შეხედულება ჰქონდეს, თითქოს არის რომელიმე ინგლისურენოვან სახელმწიფოში. ეს პროვინციალიზმის გამოხატულებაა და, ამავე დროს, სახელმწიფო დანაშაულია – ამით კნინდება სახელმწიფო ენა. კანადაში არის ენის პალატა, სადაც მიჩნეულია, რომ თუკი სახელმწიფო აბრაზე ან სადე დაამახინჯებ ენას, ეს დანაშაულია და პატიმრობაც არის. სახელმწიფო ენა ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია და ის არ უნდა დავანაგვიანოთ. ამდენი უცხოენოვანი სიტყვით ჩვენს ძირეულ ენას, სამწუხაროდ, ნელ-ნელა ვკარგავთ. ცალკე საკითხია, ქართულ ტელევიზიებსა და პრესაში რაც ხდება. ქართულ ტელევიზიას ერთი სტილისტი უნდა ჰყავდეს, რომ ის გადაცემა, რომელიც ეთერში გადის, გააკონტროლოს. მაგალითების ჩამოთვლა რომ დავიწყო, ძალიან შორს წავალთ, ეს მკითხველმა ჩემზე უკეთესად იცის. ისეთი ქართულით საუბრობენ ჩვენი დიქტორები, რომ ყოვლად წარმოუდგენელია. საქართველოში მიმდინარეობს აზროვნების ლიკვიდაცია, ზოგჯერ, მგონია, განზრახ, ზოგჯერ, მგონია, შემთხვევით, მაგრამ ფაქტია, რომ ეკრანიდან და პრესიდან გაქრა მოაზროვნე ადამიანი, გაქრა ფიქრი კულტურაზე. ჩვენ გვყავდა უდიდესი კორიფეები, რომლებიც სათანადოდ ვერ გამოვიყენეთ. ახლახან გარდაიცვალა მუსიკალური კორიფე ნოდარ ანდღულაძე. ჩვენ იმდენიც ვერ შევძელით, რომ ის ტელევიზიით გამოსულიყო და ქართველ საზოგადოებას მისთვის მოესმინა. ეს დანაშაულია. ყველა ნიჭიერს უნდა დავუთმოთ ეთერი, რომ საზოგადოება განვითარდეს და რეალური ღირებულებები იცოდეს. დღეს რაც ხდება, უპატივცემულობაა, წარსულსა და დღევანდელ მწერლებზე ფეხის დაბიჯებაა. მჯერა, რომ არსებული ხარვეზები გამოსწორდება. ხომ გაგიგიათ, მრუდე ხე უნდა გასწორდეს, რომ ნაყოფი გამოიღოსო. ამიტომ მჯერა, რომ საქართველოს გენეტიკური კოდი მძლავრია, ძლიერია და ის ყლორტს აუცილებლად გამოიღებს, მომავალი თაობაც დაინახავს, რა არის მნიშვნელოვანი და ღირებული.

– რა ღონისძიებების ჩატარებას აპირებს რუსთაველის საზოგადოება?

– ჩვენ გამოვედით ინიციატივით, რომ გაიხსნას გრიგოლ რობაქიძის მუზეუმი მის მშობლიურ სოფელში. ამჟამად მისი მუზეუმი ძალიან საავალალო მდგომარეობაშია. უდიდესი პატრიოტი ადამიანი იყო და მისი ნატვრა მხოლოდ ის იყო, რომ მის დაბადების დღეზე მისულიყო მცხეთაში ქართველი დედა და ერთი სანთელი აენთო. ამ თემაზე უკვე ვესაუბრე მინისტრს და ბატონი გურამ ოდიშარია დამპირდა, რომ საკითხის შესწავლას დაიწყებს. საბედნიეროდ, არსებობს ექსპონატებიც, რომლებიც მუზეუმში განთავსდება და ის დამთვალიერებლისთვის ნამდვილად საინტერესო იქნება. შესაძლებელია, შემდგომში ეს მუზეუმი იყოს როგორც სამინისტროს, ასევე მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში, ან იყოს თუნდაც შერეული ფორმით. ჩვენი სურვილია, მუზეუმში იყოს დირექტორი, დამლაგებელი და დარაჯი, სამომავლოდ შეიძლება ერთი ექსკურსიამძღოლიც იყოს. მუზეუმში ადამიანიც დასაქმდება და ქართველი საზოგადოებაც უკეთ გაიცნობს გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას. ამ პატრიოტი ადამიანის მუზეუმი ნამდვილად უნდა იყოს საკადრის მდგომარეობაში.

გვაქვს დიდი პროგრამა, მას აუცილებლად გავაცნობთ ჩვენს მთავრობას. პროგრამა იმაში მდგომარეობს, რომ ქართული კულტურა ნამდვილად უნიკალურია და ჩვენ ვართ აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაგასაყარზე. ქართული კულტურა ითავსებს როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ კულტურას. ამის უტყუარი მაგალითია ჩვენი გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ და მთელი ქართული კულტურა. დღეს მთელი მსოფლიო ლაპარაკობს კულტურათა აგრესიის შესახებ, ამაზე იმართება დიდი სამეცნიერო კონფერენციები და 2011 წლის სექტემბრის ტერაქტი მიჩნეულ იქნა კულტურათა აგრესიად. ერთი მხრივ, ეს იყო აღმოსავლური სივრცის კულტურის რევანში დასავლური პოსტმოდერნული დროის კულტურაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა მსოფლიო ეთნოლოგებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, მეცნიერებისა და მწერლებისთვის. დღეს, როცა ასეთი დაძაბულობაა მსოფლიოში, მიჩნეულია, რომ აღმოსავლეთი ემზადება რევანშისთვის, რათა დაიბრუნოს ის სადავეები, რომელიც თავის დროზე მას დასავლეთმა წაართვა. ამ შემთხვევისათვის საქართველომ უნდა გამოაცხადოს კულტურათა დიალოგი. ჩვენთან მოწვეულ უნდა იქნენ დიდი აღმოსავლელი მეცნიერები, თეოლოგები, მწერლები და ასევე დასავლეთის ცნობილი წარმომადგენლები. როცა ზურგით დგას ეს ორი კულტურა, უნდა დავიწყოთ მათი დაახლოება. თუ საქართველო შეძლებს, ცენტრი გახდეს და დაანახვოს სამყაროს, რომ კულტურა გადაარჩენს მსოფლიოს, ეს იქნება ყველაზე დიდი ნაბიჯი, რომელიც წარმოაჩენს საქართველოს ცივილიზაციას, ჩვენ ჩვენს სახეს დავანახვებთ ყველას და მაშინ მსოფლიოც პატივს გვცემს.

საუბრის ბოლოს, მინდა, გულისტკივილით ვთქვა, რომ როცა სომხეთში ვიყავი და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელს აცნობდნენ ჩემს თავს, საქართველოსთან დაკავშირებით იხსენებდნენ ხინკალს, ხაჭაპურს, საცივს, კარგ ღვინოს. ესეც სასიამოვნოა და ერთ-ერთი შენაძენია ჩვენი, მაგრამ ის დამოკიდებულება, რომ რუსთაველისა და ვაჟას ქვეყნიდან ვარ, არ იგრძნობოდა, ეს კი ჩემთვის გაცილებით სასიამოვნო იქნებოდა. ისინი მიყურებდნენ, როგორც ეგზოტიკური ქვეყნის წარმომადგენელს, სადაც არის კარგი ღვინო, ლამაზი ბუნება, არაჩვეულებრივი მასპინძლობა. იმის მაგივრად, რომ ჩვენ დაგვინახონ, როგორც გალაკტიონის, ფიროსმანის სამშობლოს წარმომადგენლები, მათ ჩვენს დანახვაზე ხინკლის ასოციაცია უჩნდებათ. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ, რომ საქართველოს იცნობდნენ, როგორც რუსთაველის, ფიროსმანის, გალაკტიონის სამშობლოს. ჩვენი ლიტერატურა იმსახურებს ამას. ნამდვილად გაგვაჩნია ისეთი კულტურა, რითიც შეიძლება, მსოფლიოსთან თავი მოვიწონოთ. კულტურული დიალოგი ნამდვილად საჭიროა და, თუკი ამის განხორციელებას შევძლებთ, საქართველო დანარჩენი მსოფლიოსთვის უფრო თვალსაჩინო გახდება.

ევროპა დასასრულს უახლოვდება

ინგლისი

19.05	სუონსი-ფულემი	1.8	3.6	4.33
19.05	უიგანი-ასტონ ვილა	2.05	3.6	3.4
19.05	ნიუკასლი-არსენალი	5.5	4.33	1.53
19.05	ლივერპული-ქარ	1.25	6.0	11.0
19.05	ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი	4.0	4.0	1.8
19.05	ჩელსი-ევერტონი	1.67	4.0	4.8
19.05	ვესტ ჰემი-რედინგი	1.61	4.0	5.0
19.05	საუთჰემპტონი-სტოკი	1.8	3.4	4.8
19.05	ტოტენჰემი-სანდერლენდი	1.28	5.5	10.0

სუონსი-ფულემი

სუონსი: *ტრავმ*-მაიკლ ვორმი, კი სუნ იენი

ფულემი: *ტრავმ*-კირონ რიჩარდსონი, მაჰამადუ დიარა; *დისკვ*-სტივ სიდუელი

უიგანი-ასტონ ვილა

უიგანი: *ტრავმ*-კალუმ მაკმანამანი, რონი სტამი, ივან რამისი, ალბერტ ხრუსატი

ასტონ ვილა: *ტრავმ*-მეტიუ ლოუტონი, ქარიმ ელ აჰმადი, კირონ კლარკი, კრის ჰერდი, მარკ ოლრაიტონი, სტილიან პეტროვი, რიჩარდ დანი; *დისკვ*-კრისტიან ბენტეკე

ნიუკასლი-არსენალი

ნიუკასლი: *ტრავმ*-მასადიო ჰაიდარა, ჩეიკ ტიოტე, სტივენ ტეილორი, შოლა ამეობი, მუსა სისოკო, ტიმ კრუელი, დავიდე სანტონი, რაინ ტეილორი; *დისკვ*-რობ ელიოტი

არსენალი: *ტრავმ*-მიკელ არტეტა, აბუ დიაბი

ლივერპული-ქარ

ლივერპული: *ტრავმ*-მარტინ შკრტელი, დანიელ აგერი, სტივენ ჯერარდი, რაემ სტირლინგი, ჯო ალენი, მარტინ კელი; *დისკვ*-ლუის სუარესი

ქარ: *ტრავმ*-ჟულიო სეზარი, კრისტოფერ სამბა, შონ რაიტ-ფილიპსი

ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი

ვესტ ბრომვიჩი: *ტრავმ*-გონსალო ხარა, ჯორჯ ტორნე, ზოლტან გერა

მანჩესტერი: *ტრავმ*-კრის სმოლინგი, ეშლი იანგი, დანიელ ფლეტჩერი; *დისკვ*-რაფაელი

ჩელსი-ევერტონი

ჩელსი: *ტრავმ*-ედენ აზარი, ჯონ ტერი, ჯონ ობი მიკელი, რაიან ბერტრანდი; *დისკვ*-რამირესი

ევერტონი: *ტრავმ*-ფილ ნევილი

ვესტ ჰემი-რედინგი

ვესტ ჰემი: *ტრავმ*-ჯეიმს ტომკინსი, ჯორჯ მაკარტნი

რედინგი: *ტრავმ*-ადამ ფედერეკი, ჯიმი კებე, ჯეისონ რობერტსი

საუთჰემპტონი-სტოკი

საუთჰემპტონი: *ტრავმ*-ჟული დე პრადო, რიჩარდ ჩაპლოუ; *დისკვ*-გასტონ რამირესი, დანი ფოქსი

სტოკი: *ტრავმ*-გლენ ველანი; *დისკვ*-ჩარლი ადამი

ტოტენჰემი-სანდერლენდი

ტოტენჰემი: *ტრავმ*-იუნის ქაბული, უილიამ გალასი, სანდრო

სანდერლენდი: *ტრავმ*-ტიტუს ბრამბლი, სტივენ ფლეტჩერი, ლი კატერმოლი, უესლი ბრაუნი; *დისკვ*-კრეიგ გარდნერი, შტეფან სესინიონი

სატურნირო ცხრილი:

1.მანჩესტერი	37	28	4	5	81-38	88
2.სიტი	37	23	9	5	64-31	78
3.ჩელსი	37	21	9	7	73-38	72
4.არსენალი	37	20	10	7	71-37	70
5.ტოტენჰემი	37	20	9	8	65-46	69
6.ევერტონი	37	16	15	6	54-38	63
7.ლივერპული	37	15	13	9	70-43	58
8.ვესტ ბრომვიჩი	37	14	6	17	48-52	48
9.სუონსი	37	11	13	13	47-48	46
10.ვესტ ჰემი	37	11	10	16	41-51	43
11.სტოკი	37	9	14	14	33-44	41
12.ნორვიჩი	37	9	14	14	38-56	41
13.ნიუკასლი	37	11	8	18	45-67	41
14.საუთჰემპტონი	37	9	13	15	48-59	40
15.ფულემი	37	10	10	17	47-60	40
16.ასტონ ვილა	37	10	10	17	45-67	40
17.სანდერლენდი	37	9	12	16	41-53	39
18.უიგანი	37	9	8	20	45-71	35
19.რედინგი	37	6	10	21	41-69	28
20.ქარ	37	4	13	20	30-59	25

ესპანეთი

18.05 ხეტაფე-ვალენსია	4.0	3.75	1.83
18.05 გრანადა-ოსასუნა	2.05	3.1	4.0
18.05 სევილია-სოსიედადი	2.1	3.5	3.25
19.05 ლევანტე-რაიო	2.5	3.25	2.8
19.05 დეპორტივო-ესპანიოლი	1.57	3.75	6.0
19.05 სარაგოსა-ბილბაო	1.91	3.4	4.0
19.05 ბარსელონა-ვალიდოლიდი	1.22	6.5	11.0
20.05 მალიორკა-ბეტისი	2.45	3.3	2.8

ხეტაფე-ვალენსია

ხეტაფე: *ტრავმ*-ხავი ტორესი, სერხიო ესკუდერო

ვალენსია: *ტრავმ*-სერხიო კანალესი

გრანადა-ოსასუნა

გრანადა: *ტრავმ*-ჰასან იებდა, დანიელ ბენიტესი, ფრან რიკო

ოსასუნა: *ტრავმ*-ლოლო, ანტონი ანანი, სისი; *დისკვ*-ფრანსისკო პუნალი

სევილია-სოსიედადი

სევილია: *ტრავმ*-ფედერიკო ფაციო, ხოსე ანტონიო რეიესი, პიოტრ ტროხოვსკი

სოსიედადი: *ტრავმ*-დავიდ ზურუტუზა, მიკელ გონსალესი, ალბერტო დე ლა ბელა, კარლოს ველა, ილარამენდი, გორკა ელუსტუნდო

ლევანტე-რაიო

ლევანტე: *ტრავმ*-ხუანფრანი, ხოსე ბაკერო; *დისკვ*-პაპადიოპი, პედრო ლოპესი

რაიო: *ტრავმ*-ხოსე მანუელ კასადო, ტიტო, ლეო ბაპტისტაო, როდრი

დეპორტივო-ესპანიოლი

დეპორტივო: *ტრავმ*-დიოგო სალომაო, აბელ აგილარი, კარლოს მარჩენა, ალურე

ესპანიოლი: *ტრავმ*-ფელიპე მატიონი, სამუელ ლონგო; *დისკვ*-ხუან კაბდევილა, ხუან ფორლინი, ვიქტორ სანჩესი

სარაგოსა-ბილბაო

სარაგოსა: *ტრავმ*-ედუ ორიოლი, ფრანკო ზულუჩინი, ხავი ალამო, ივან ობრადოვიჩი; *დისკვ*-გლენ ლოვენსი

ბილბაო: *ტრავმ*-ანდონი ირაოლა, აურემიკ ლაპორტე, რუიზ დე გალარეტა, ინიგო პერესი

ბარსელონა-ვალიდოლიდი

ბარსელონა: *ტრავმ*-ლეო მესი, კარლეს პუიოლი

ვალიდოლიდი: *ტრავმ*-არავინ; *დისკვ*-ანტონიო რუკავინა

მალიორკა-ბეტისი

მალიორკა: *ტრავმ*-პედრო ბიგასი, ანტონიო ლოპესი, ალვარო, ჟოაო ვიქტორი; *დისკვ*-ფონტასი, ხიმო ნავარო

ბეტისი: *ტრავმ*-პაულაო, ხორხე მოლინა, გასტო

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	35	29	4	2	107-38	91
2.რეალი	36	25	6	5	96-37	81
3.ატლეტიკო	36	22	6	8	62-30	72
4.ვალენსია	35	17	8	10	62-50	59
5.სოსიედადი	35	16	11	8	64-45	59
6.მალაგა	36	15	9	12	49-45	54
7.ბეტისი	35	15	7	13	52-54	52
8.სევილია	35	13	8	14	52-47	47
9.ხეტაფე	35	13	8	14	42-52	47
10.რაიო	35	14	4	17	43-61	46
11.ესპანიოლი	35	11	11	13	43-47	44
12.ვალიადოლიდი	35	11	10	14	46-50	43
13.ლევანტე	35	11	9	15	36-53	42
14.ბილბაო	35	11	8	16	40-61	41
15.ოსასუნა	35	9	9	17	29-42	36
16.გრანადა	35	9	9	17	32-53	36
17.სარაგოსა	35	9	7	19	35-53	34
18.დეპორტივო	35	7	11	17	44-66	32
19.სელტა	36	8	7	21	34-52	31
20.მალიორკა	35	7	8	20	38-70	29

იტალია

18.05 სამპდორია-იუვენტუსი	3.75	3.25	1.95
19.05 ატალანტა-კიევო	2.0	2.9	4.0
19.05 ბოლონია-ჯენოა	2.2	3.3	3.0
19.05 ტორინო-კატანია	2.05	3.1	3.5
19.05 ინტერი-უდინეზე	3.4	3.5	1.95
19.05 რომა-ნაპოლი	2.3	3.4	2.75
19.05 პესკარა-ფიორენტინა	13.0	6.5	1.17
19.05 პალერმო-პარმა	2.3	3.1	3.0
19.05 სიენა-მილანი	15.0	6.5	1.14
19.05 კალიარი-ლაციო	4.75	3.5	1.7

სამპდორია-იუვენტუსი

სამპდორია: *ტრავმ*-ნენად კრსტიჩიჩი, ანდრეა კოსტა; *დისკვ*-რენანი

იუვენტუსი: *ტრავმ*-კვადვო ასამოა, ნიკლას ბენდტნერი, სიმონე პეპე; *დისკვ*-პაულ პოგბა

ატალანტა-კიევო

ატალანტა: *ტრავმ*-კრისტიან რაიმონდი, გერმან დენისი, ფრანკო ბიენზა, რიკარდო კაძოლა, იგორ ბუდანი, გვიდო მარილუნგო

კიევო: *ტრავმ*-ალბერტო პალოსკი, სერხიო პელისიერი, ნიკოს სპიროპულოსი

ბოლონია-ჯენოა

ბოლონია: *ტრავმ*-როჯერ კარვალიო, მიქელ ანტონსონი, ნიკოლო ჩებურინი, ჯანლუკა კურჩი

ჯენოა: *ტრავმ*-ჩეზარე ბოვო, რუბენ ოლივეირა, მარკო როსი

ტორინო-კატანია

ტორინო: *ტრავმ*-რონალდო ბიანკი, მარიო სანტანა

კატანია: *ტრავმ*-ნიკოლა ლეგროტაღლიე, პაბლო ალვარესი, ფაბიო სკიაცა

ინტერი-უდინეზე

ინტერი: *ტრავმ*-ჯონათანი, კრისტიან კივუ, ხავიერ ძანეტი, მატიას სილვესტრი, ვალტერ სამუელი, ვალტერ გარგანო, რიკარდო პალასიო, დეიან სტანკოვიჩი, დიეგო მილიტო, ჯოელ ობი, გაბი მუდინგაი, ლუკა კასტელაცი

უდინეზე: *ტრავმ*-ანდრეა ლაძარი

რომა-ნაპოლი

რომა: *ტრავმ*-დანიელე დე როსი, ფედერიკო ბალძარეტი, მარტინ სტეკელენბურგი; *დისკვ*-ფრანჩესკო ტოტი

ნაპოლი: *ტრავმ*-არავინ; *დისკვ*-ლორენს ინსინი

პესკარა-ფიორენტინა

პესკარა: *ტრავმ*-ჯუზეპე სკული, ჯანლუკა კაპრარი, ივან პელიცოლი, ფრანჩესკო მოდესტო, გაეტანო დაგოსტინო, ვლადიმირ ვეისი; *დისკვ*-ანტონიო ბალძანო

ფიორენტინა: *ტრავმ*-მარსელო ლარონდო, მოჰამედ სისოკო

პალერმო-პარმა

პალერმო: *ტრავმ*-იოსიპ ილიჩიჩი, მაურო ბოსელი; *დისკვ*-სანტიაგო გარსია, ჯასმინ კურტიჩი

პარმა: *ტრავმ*-ნიკოლა სანსონე, მაკდონალდ მარიგა; *დისკვ*-მარკო მარკიონი

სიენა-მილანი

სიენა: *ტრავმ*- ნიკოლა პოცი

მილანი: *ტრავმ*-დანიელე ბონერა, ლუკა ანტონინი, რიკარდო მონტოლივო, ბოიან კრკიჩი, ნაიჯელ დე იონგი

ლაციო-ლაციო

კალიარი: *ტრავმ*-ნიკოლა მურუ, გაბრიელ პერიკო, დანილო აველარი, ლორენცო არიაუდო, დავიდე ასტორი, ფრანჩესკო პისანო

ლაციო: *ტრავმ*-აბდულაიე კონკო, მაიკლ კიანი, ედერსონი, სტეფანო მაური, კრისტიან ბროკი

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	37	27	6	4	69-21	87
2.ნაპოლი	37	23	9	5	72-34	78
3.მილანი	37	20	9	8	65-38	69
4.ფიორენტინა	37	20	7	10	67-43	67
5.უდინეზე	37	17	12	8	54-43	63
6.ლაციო	37	18	7	12	51-41	61
7.რომა	37	17	8	12	69-55	59
8.კატანია	37	15	10	12	48-44	55
9.ინტერი	37	16	6	15	53-52	54
10.პარმა	37	12	10	15	42-45	46
11.კიევო	37	12	8	17	35-50	44
12.კალიარი	37	11	11	15	42-55	44
13.ბოლონია	37	11	10	16	46-52	43
14.ატალანტა	37	11	8	18	37-54	39
15.სამპდორია	37	10	10	17	40-49	39
16.ტორინო	37	8	15	14	44-53	38
17.ჯენოა	37	8	13	16	38-52	37
18.პალერმო	37	6	14	17	33-51	32
19.სიენა	37	9	9	19	35-55	30
20.პესკარა	37	6	4	27	26-79	22

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

გერმანია

18.05 დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი	1.4	5.0	7.0
18.05 შტუტგარტი-მაინცი	2.1	3.6	3.2
18.05 ჰანოვერი-ფორტუნა	2.6	3.6	2.5
18.05 ნიურნბერგი-ვერდერი	2.37	3.6	2.75
18.05 აუგსბურგი-ფიურტი	1.44	4.5	6.5
18.05 ჰამბურგი-ლევერკუზენი	3.1	4.0	2.05
18.05 აინტრახტი-ვოლფსბურგი	1.83	3.75	4.0
18.05 გლადბახი-ბაიერნი	5.5	4.0	1.57
18.05 ფრაიბურგი-შალკე	2.8	3.75	2.25

დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი

დორტმუნდი: *ტრავმ*-პატრიკ ოვომოიელა, მარიო გიოტცე

ჰოფენჰაიმი: *ტრავმ*-დანიელ უილიამსი, ტაკაში უსამი, ლუის ადვინცულა, პელე იენსენი, ვიჩენცო გრიფო, ერენ დერდიუკი, ბორის ვუკჩევიჩი

შტუტგარტი-მაინცი

შტუტგარტი: *ტრავმ*-ფედერიკო მაჩედა, ტამაშ ჰაინალი, დანიელე დიდავი, მამადუ ბა, კაკაუ

მაინცი: *ტრავმ*-ლორის კარიუსი, ნიკიტა რუკავიცა, ჩინედუ ედე, ადამ ზალაი, მაქსიმ ჩუპო-მოტინგი, ივან კლასნიჩი

ჰანოვერი-ფორტუნა

ჰანოვერი: *ტრავმ*-ლარს სტინდი, ლეონ ანდრეასენი, დიდიე კონანი, მოჰამედ აბდულაიე, იოან ჯურუ

ფორტუნა: *ტრავმ*-კენ ილსო, ნანდო რაფაელი, ანდრეი ვორონინი, მარტინ ლატკა, თურგულ ერატი

ნიურნბერგი-ვერდერი

ნიურნბერგი: *ტრავმ*-მარკუს ფელნერი, პერ ნილსონი, მუჰამედ ილდიზი, ტიმოტი ჩანდლერი, ტიმო გებრახტი, მარკოს ანტონიო

ვერდერი: *ტრავმ*-ელ ჯერო ელია, მეჰმეთ ეკიჩი, ტომ ტრიბული, ნიკლას ფულკრუგი

აუგსბურგი-ფიურტი

აუგსბურგი: *ტრავმ*-შტეფან აინი, სებასტიან ლანგკამფი

ფიურტი: *ტრავმ*-ჯოზეფ ვარგა, სერქან სარარერი, მილორად პეკოვიჩი, ჰაინრიხ შმიტდალი, სებასტიან ტირალა

ჰამბურგი-ლევერკუზენი

ჰამბურგი: *ტრავმ*-ჟი ჩინ ლამი, თოლგაი არსლანი, გოიკო კაჩარი, მარკუს ბერგი

ლევერკუზენი: *ტრავმ*-გონსალო კასტრო, ქარიმ ბელარაბი

აინტრახტი-ვოლფსბურგი

აინტრახტი: *ტრავმ*-პირმინ შველგერი, სონი კიტელი, კევინ ტრაპი

ვოლფსბურგი: *ტრავმ*-პატრიკ ჰელმესი

გლადბახი-ბაიერნი

გლადბახი: *ტრავმ*-არავინ

ბაიერნი: *ტრავმ*-ტონი კროოსი, ჰოლგერ ბადშტურბერი

ფრაიბურგი-შალკე

ფრაიბურგი: *ტრავმ*-პაველ კრმასი, მარკო ტერაცინო

შალკე: *ტრავმ*-კრისტოფ მეცელდერი, იბრაჰიმ აფელაი, კირიაკოს პაპადოპულოსი

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	33	28	4	1	94-15	88
2.დორტმუნდი	33	19	9	5	80-40	66
3.ლევერკუზენი	33	18	8	7	64-39	62
4.შალკე	33	15	7	11	56-49	52
5.ფრაიბურგი	33	14	9	10	44-38	51
6.აინტრახტი	33	14	8	11	47-44	50
7.ჰამბურგი	33	14	6	13	42-52	48
8.გლადბახი	33	12	11	10	42-45	47
9.ჰანოვერი	33	12	6	15	57-62	42
10.ვოლფსბურგი	33	10	12	11	45-50	42
11.შტუტგარტი	33	12	6	15	35-53	42
12.მაინცი	33	10	11	12	40-42	41
13.ნიურნბერგი	33	10	11	12	36-45	41
14.ვერდერი	33	8	10	15	48-63	34
15.დიუსელდორფი	33	7	9	17	39-54	30
16.აუგსბურგი	33	7	9	17	30-50	30
17.ჰოფენჰაიმი	33	7	7	19	40-66	28
18.ფიურტი	33	4	9	20	25-57	21

საფრანგეთი

18.05 ნანსი-ბასტია	1.67	3.5	5.5
18.05 სენტ ეტიენი-მარსელი	1.9	3.25	4.33
18.05 ევიანი-ვალანსიენი	1.67	3.5	5.5
18.05 ნიცა-ლიონი	2.45	3.25	2.9
18.05 რენი-აიაჩო	2.37	3.2	3.0
18.05 რეიმსი-ლორიენი	2.1	3.2	3.6
18.05 სოშო-ტულუზა	2.2	3.0	3.6
18.05 პსჟ-ბრესტი	1.18	6.5	15.0
18.05 ტრუა-ბორდო	2.1	3.3	3.5
18.05 მონპელიე-ლილი	3.4	3.25	2.15

ნანსი-ბასტია

ნანსი: *ტრავმ*-ნდი ასემბე, ტომ აიასე, ჟუნიორ ხოაკიმი

ბასტია: *ტრავმ*-მაკედო ნოვაესი, მეტიუ სანსი, იასინ ელ-აზოუზი

სენტ ეტიენი-მარსელი

სენტ ეტიენი: *ტრავმ*-მეტიუ ბოდმერი, ჯონათან ბრისონი, მაქს გრადელი, ჯერემი კლემენტი, ალეხანდრო ალონსო, დანიელ ალეკსიჩი

მარსელი: *ტრავმ*-როდ ფანი, ბენუა შეროუ

ევიანი-ვალანსიენი

ევიანი: *ტრავმ*-სედრიკ ბარბოსა, სედრიკ მონგუ, ჯონათან მენსა, სიდნეი გოვუ, დიოგო, ჯაკარიჯა კონე, შტეფან ანდერსენი, ალი მადი

ვალანსიენი: *ტრავმ*-გრეგუარ პუიოლი, ლორის ნერი, მარკო და სილვა, ანტონი ლე ტალეკი

ნიცა-ლიონი

ნიცა: *ტრავმ*-ქამელ მერიემი, ლოიდ პალუნი, კევინ ანინი, მაჰამანე ტრაორე, ხავიერ პენტეკოტე

ლიონი: *ტრავმ*-დეიან ლოვრენი, ალექსანდრე ლაკაძეტე, რემი ვერკუტი

რენი-აიაჩო

რენი: *ტრავმ*-ჯონ მენსა, ონეოკაჩი აპამი, ვიქტორ მონტანო, ერიტა ილუნგა, მევლუთ ერდინგი, რომან ალეხანდრინი, რომან დანცე, კევინ ტეოფილე

აიაჩო: *ტრავმ*-რიკარდო ფატი, დავიდ ობერჰაუზერი

რეიმსი-ლორიენი

რეიმსი: *ტრავმ*-ოდარ ფორტესი

ლორიენი: *ტრავმ*-მარიო ლემინა, ჯერემი ალიდიერი, ალან ტრაორე, უესლი ლაუტოლა

სოშო-ტულუზა

სოშო: *ტრავმ*-კარლაო, ედუარდ ბუტინი, კალილუ ტრაორე, ლიონელ ზუმა

ტულუზა: *ტრავმ*-ჯონათან ძებინა, პავლე ნიკონოვი

პსჟ-ბრესტი

პსჟ: *ტრავმ*-ლუკას მოურა

ბრესტი: *ტრავმ*-ანდრე აურასი, იოან მარტიალი, ბრაჰიმ ფერადი, ჟოფრი დერნისი

ტრუა-ბორდო

ტრუა: *ტრავმ*-გრანდი ნგოი, სებასტიან გრო

ბორდო: *ტრავმ*-ფლორიან მარანგე, ლუდოვიკ სანე, გრეგორი სერტიჩი, ლანდრი ნგუემო

მონპელიე-ლილი

მონპელიე: *ტრავმ*-ჰილტონი, ჯამელ საიჰი, გარი ბოკალი

ლილი: *ტრავმ*-რაიან მენდესი

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	36	23	8	5	63-21	77
2.მარსელი	36	21	7	8	42-34	70
3.ლიონი	36	18	9	9	58-37	63
4.ლილი	36	16	12	8	58-39	60
5.ნიცა	36	17	9	10	54-45	60
6.სტ. ეტიენი	36	15	14	7	57-31	59
7.ლორიანი	36	14	11	11	56-54	53
8.ბორდო	36	12	16	8	38-32	52
9.მონპელიე	36	15	6	15	54-49	51
10.ტულუზა	36	11	12	13	45-46	45
11.ვალანსიენი	36	11	12	13	47-50	45
12.რენი	36	13	6	17	47-56	45
13.ბასტია	36	12	7	17	48-65	43
14.სოშო	36	10	10	16	40-55	40
15.აიაჩო	36	9	14	13	38-48	39
16.რეიმსი	36	9	12	15	32-42	39
17.ევიანი	36	9	10	17	43-51	37
18.ნანსი	36	8	11	17	35-55	35
19.ტრუა	36	7	13	16	41-59	34
20.ბრესტი	36	8	5	23	30-57	29

შენიშვნა: აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

თურქეთმა რუსეთთან სავიზი რეჟიმი კიდევ უფრო შეარბილა

თურქეთმა ცალმხრივი წესით ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეების უვიზოდ ყოფნის ვადა ერთიდან ორ თვემდე გაზარდა. ამის შესახებ თურქეთის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, „რესმი გაზეთე“ იუწყება.

„უვიზო შემოსვლის რაოდენობა არ იზღუდება, თუმცა 180-დღიანი პე-

რიოდის განმავლობაში, ქვეყანაში ჯამობრივი ყოფნა 90 დღეს არ შეიძლება აღემატებოდეს“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

„განსაკუთრებით ზაფხულის სეზონზე, თურქეთში რუს ტურისტთა რაოდენობის გაზრდა, ძალიან კარგად აისახება ორი ქვეყნის კულტურულ ურთიერთობებზე“, – აღნიშნავენ თურქეთში. ამასთან გვახსენებენ, რომ პირველად არ ხდება, როცა რუსების უვიზო ყოფნის ვადას აგრძელებენ.

„ვიმედოვნებთ, რომ ეს ზომა ჩვენს რუს სტუმრებს დაეხმარება უკეთესად დაგეგმონ შვებულება თურქეთში და დროის ჩარჩოთი საკუთარი თავი არ შეიზღუდონ“, – განუცხადა ჟურნალისტებს თურქეთის კულტურის და ტურიზმის სამინისტრის წარმომადგენელმა.

ირანში ქალებს საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატურის წამოყენება აუკრძალეს

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ქალებს საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატურის წამოყენების უფლება კვლავ არ ექნებათ. ამის შესახებ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს. ირანის კონსტიტუციის დაცვის საბჭოს წევრის მოჰამედ იაზდის განცხადებით, ქვეყნის კონსტიტუცია არ აძლევს საშუალებას ქალებს, იყვნენ პრეტენდენტები ირანის პრეზიდენტის პოსტზე.

საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, იყო შანსი, ისტორიაში პირველად საპრეზიდენტო მარათონში ქალებსაც მიეღოთ მონაწილეობა და ამ შანსის გამოყენებას ათეულობით ირანელი ქალი აპირებდა. ირანის ხელისუფლების მონაცემებით, პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრირებულთა შორის 30 ქალია, მაგრამ საბოლოო სიას კონსტიტუციის დაცვის საბჭო ამტკიცებს, შესაბამისად, საბოლოო სიაში ქალები ვერ მოხვდებიან.

როგორც ექსპერტები აცხადებენ, ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციაში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქციები იმის შესახებ, შეუძლიათ თუ არა ქალებს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

შეგახსენებთ, რომ ირანის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეთა ზუსტი სია 22-24 მაისს გამოცხადდება. ქვეყნის მოქმედ პრეზიდენტს მაჰმუდ აჰმადინეჯადს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს, რადგან ის ამ პოსტზე უკვე ზედიზედ ორჯერ აირჩიეს.

ირანის პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით 4 წლის ვადით. იგი ქმნის მინისტრთა კაბინეტს და ხელმძღვანელობს მის მუშაობას. აღსანიშნავია, რომ ირანის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება იმყოფება ქვეყნის პოლიტიკური და სულიერი ლიდერის (ამჟამად აიათოლა ხამენეი) კონტროლის ქვეშ. პრეზიდენტის თანამდებობა შემოღებულ იქნა შაჰის რეჟიმის დამხობის შემდეგ. თავდაპირველად მას სიმბოლური ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ კონსტიტუციური ცვლილების შემდეგ გაუქმდა პრემიერ-მინისტრის პოსტი და მისი ბევრი ფუნქცია პრეზიდენტს დაეკისრა. ამჟამად ირანის პრეზიდენტი გავლენიან პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენს.

ბარაკ ობამა: ბაშარ ასადი უნდა წავიდეს

სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი პოლიტიკური ასპარეზიდან უნდა წავიდეს. ეს განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ვაშინგტონში თურქეთის პრემიერ-მინისტრთან რეჯეპ ტაიპ ერდოღანთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

„ჩვენ შევთანხმდით გავაძლიეროთ ზეწოლა ბაშარ ასადის რეჟიმზე და აქტიურად ვითანამშრომლოთ სირიის ოპოზიციურ ძალებთან. ჩვენ, ორივე მხარე ვფიქრობთ, რომ ბაშარ ასადი პოლიტიკური ასპარეზიდან უნდა წავიდეს“, – განაცხადა ბარაკ ობამამ.

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ თურქეთისგან მნიშვნელოვანი როლის შესრულებას ელის სირიის საკითხებზე დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, რომელსაც ამერიკის ძალისხმევით სირიის ამჟამინდელი სახელისუფლებო და ოპოზიციური ძალაც დაესწრება.

ბარაკ ობამამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატების სურვილია ქვეყანაში შეიქმნას ორივე მხარისთვის მისაღები გარდამავალი ხელისუფლება, რომელიც თავისუფალი იქნება ბაშარ ასადის ტირანიისგან.

შეგახსენებთ, რომ სირიის კონფლიქტის განხილვისა და გადაწყვეტის გზების გამონახვის მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზების საკითხზე მაისის დასაწყისში შეთანხმდნენ. კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი უკვე მრავალმა ქვეყანამ გამოთქვა.

ამ ფონზე, ამერიკელი ოფიციალური პირის თქმით, რუსეთი სირიას ახალი ტიპის სარაკეტო სისტემებით ამარაგებს.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ ცნობით, სირიაში რუსეთმა „იახონტის“ ტიპის რაკეტები გააგზავნა. „სკადის“ და სხვა ტიპის გრძელი რადიუსის მოქმედების რაკეტებისაგან განსხვავებით, რომელსაც ასადის ძალები ოპოზიციის წინააღმდეგ იყენებენ, „იახონტის“ ანტისარაკეტო სისტემა სირიის სამხედროებს შესაძლებლობას მისცემს ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიონ საერთაშორისო ძალებს.

ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ვაშინგტონის ინსტიტუტის თანამშრომელი ჯეფრი უაითი აღნიშნავს, რომ „სირიის არსენალის გაძლიერება ნიშნავს, რომ დასავლეთის ძალების საზღვაო მოქმედებები, შესაძლოა, ნაპირიდან უფრო მოშორებულ მოქმედებებში გადაიზარდოს“.

ამერიკელმა მაღალჩინოსნებმა უკვე რამდემჯერმე განაცხადეს, რომ უმჯობესი იქნება თუ რუსეთი სირიისათვის სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებას შეწყვეტს.

გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს ინფორმაციით, სირიელ ლტოლვილთა რაოდენობამ 1,5 მილიონს გადააჭარბა. ქვეყნის მოსახლეობა მთლიანად 23 მილიონს აღწევს.

„ის ფაქტი, რომ 1,5 მილიონი ადამიანია დარეგისტრირებული ლტოლვილად ნიშნავს, რომ რეალური რაოდენობა ბევრად მეტია“,-განაცხადა საგენტომ პარასკევს. ყველაზე მეტი სირიელი ლტოლვილი ლიბანსა და იორდანიაშია თავმოყრილი.

სირიის ოპოზიციური ჯგუფების ინფორმაციით, ორი წლის წინ დაწყებულ კონფლიქტს 80 000 ადამიანი ემსხვერპლა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

მაშა და დათვი
19 25 26
მაისი
ბუნებრივ
ბუნებრივ
ბუნებრივ

ოთხშაბათი 20 მაისი

06.30 დ/ფ „ელიოტ ნესი ალკაპონეს წინააღმდეგ„ 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „კომენტატორი„ 00.00 მხ/ფ „სირიანა„ (ჯ.კლუნი) 02.40 დ/ფ „რა არის რეალობა„

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „ბუდაპეშტი„ 09.00 მხ/ფ „ჰაზარდული დიუკები„ 11.00 დ/ფ „ეფლი„ 11.50 მხ/ფ „ოუშენის 13 მეშობარი„ (ჯ.კლუნი) 14.00 „ეპიცენტრი„ (გ/ჩვ) 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 3 ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 4 სერ. 19.05 მთავარი ფაქტორი 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) 23.00 მხ/ფ „ბზა წარმატებისკენ„ (ა.პიტი) 01.10 მხ/ფ „მოგზაური„ (კ.კოქსი) (ტიტ.) 02.45 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ყველაზე ჭკვიანი 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 „საქართველოს ვარსკვლავი„ 00.00 შიშის ფაქტორი 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.50 მხ/ფ „ოქროს ოგობა„ IV სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ „დამა თუთაბახია„ 13.15 საქველმოქმედო კონცერტი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი - „ეზოში ავი ძალლია„ 17.20 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 17.45 ეთნოგრაფია 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „იმერული ესკიზები„ 20.40 ძილი ნებისა 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „13 ასურელი მამა„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 დოკ/ფ „ცამეტი ასურელი წმინდა მამის ნამოღვაწარი„ 01.40 მხ/ფ „შარანი ძარში„

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ (გამ.) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 „პრესკლუბი„ 16.30 „ღია კარის დღე„ (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

სამშაბათი 21 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „თანამედროვე სნაიპერი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „აქცენტები„ 23.00 მხ/ფ „300„ 01.30 დ/ფ „ნამდვილი პანამა„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 3 ნაწ. 14.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 4 ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 22.00 „არგუმენტების დრო„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კონცერტი: „ვია – 75„ 2 ნაწ. (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აპრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ახალი საბავშვო ხმა (პ/ე) 00.15 მხ/ფ „საბილიარდო„ (რ.სანჩესი) 02.05 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია. 23.30 სერ. „ბრიმი„ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 სპექტაკლი - „ეზოში ავი ძალლია„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „იმერული ესკიზები„ 13.25 კონცერტი - სოფიკო ჭიაურელის ხსოვნის საღამო 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „პირიქითა ხევსურეთი„ 16.00 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.25 მხ/ფ „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე„ 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩემი ქვეყანა 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ჩვენი ბიბლიოთეკა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 23.30 დოკ/ფ „თამარ ნუცუბიძე„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი 02.10 ირაო

მაესტრო 7.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ (გამ.) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 „პრეს-პრესი„(გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.30 თოქ— შოუ - „პოლიტმეტრი„

ოთხშაბათი 22 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „პლანეტა დედამიწის სიღრმეში„ 17.55 ფეხბურთი. საქართველოს თასის ფინალი. (პ/ტრ) 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 მხ/ფ „აბრეშუმი„ (კ. ნაიტლი) 01.20 დ/ფ „ანგელოზები და დემონები„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „არგუმენტების დრო„ (გ/ჩ) 14.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 5 ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აპრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ფულთან თამაში 23.00 მხ/ფ „აბრეალნი„ 01.10 მხ/ფ „აუხლუხას რჩევა„ (ე.დიკი) 02.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი. 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 ნანუკას შოუ. 23.30 სერ. „ბრიმი„ 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული სწავლება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.30 კონცერტი - რობერტო ვილაზონი 14.20 ჩვენი ბიბლიოთეკა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „ცეკვის არისტოკრატი„ 16.40 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ჩემი ბოშები„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ქართველი ცხენოსნები ჰოლანდიაში„ 23.40 დოკ/ფ „წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ხარება და გოგია„ I სერ.

მაესტრო 7.00, 1.00, 4.30, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ (გამ.) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 კვირის აბები (გამ.) 17.00 ჩემი ქორწილი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 1.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.30, 2.30 მაგთიფანი კონცერტი 23.30, 5.00 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„

ხუთშაბათი 23 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „არენა„ 00.00 მხ/ფ „მამაცი„ (ჯ.ფოსტერი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ მე-5 ნაწ. 14.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 6 ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 22.00 „არგუმენტების დრო„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აპრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მოუფრეგელი ჭირი„ (ვ.ლედუაიენი) 00.30 მხ/ფ „სისხლიანი განაჩენი„ 02.15 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ხარება და გოგია„ I სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.35 დოკ/ფ „ქართველი ცხენოსნები ჰოლანდიაში„ 11.00 დოკ/ფ „წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი„ 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ჩემი ბოშები„ 13.25 კონცერტი - „თბილისური ავტოგრაფი„ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 კონცერტი - ანს.„მძლევარი„ 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „მონანიება„ I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 დოკ/ფ „ქართული კალათბურთი„ 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ფუტკრის დუმილი„ 00.40 განთიადის სტუმარი 01.10 მხ/ფ „ხარება და გოგია„ II სერ.

მაესტრო 7.00, 3.00, 5.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 1.00 ახალი ამბები 11.00 კვირის აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50, 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ 14.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 მაგთიფანი კონცერტი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბ. აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.00 „ყოველდღიური აბები„

პარასკევი 24 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 17.00 დ/ფ „ წყალქვეშა ომების წარმოების წესი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება„ 21.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „კურთხეულ იყვნენ ცხოვლები და ბავშვები„ (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 „არგუმენტების დრო„ 14.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 16.00 დ/ფ „ფერების სამყარო„ მე-2 ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„. 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აპრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ლია ეთერი (პ/ე) 00.15 მხ/ფ „მოწინააღმდეგე მხარეები„ (ო.ტაბაკოვი) 02.30 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ხარება და გოგია„ II სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 დოკ/ფ „ქართული კალათბურთი„ 11.00 დოკ/ფ „ფუტკრის დუმილი„ 11.45 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „მონანიება„ I ნაწ. 13.25 კონცერტი - საოპერო მუსიკის საღამო 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 მოკ/ფ „კავკასიური რომანსი„ 16.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.35 საუბრები ლიტერატურაზე 17.05 კონცერტი - მალერის V სიმფონია 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული აღბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 კარაბადინი 22.25 პორტრეტი „ერთსულოვნების„ გალერეიდან 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „პიანისტი„ ალექსანდრე კორსანტია 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ჩვენი ბიბლიოთეკა

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50, 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 „პრესკლუბი„ 16.30 „მონიტორის/ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური აბები„

შაბათი 25 მაისი

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 საბ. ან/ფ „ფიქრები თავისუფლებაზე„ 11.00 „ეთნოგრაფიული ნარკვევები„ 11.30 საბ. მ/სერ „ზინგზილები„ 12.00, 16.00 „მოამბე„ 12.30 „ჩვენი ფერმა„ 13.00 „სპექტაკლის დრო„ — შ. რუსთაველის თეატრის სპექტაკლი: „მეფე ლირი„ II მოქმედება 15.00 „საუკუნის პორტრეტები„ — მერაბ მამარდაშვილი 16.30 „ჩვენი ეზო„ 17.30 „ვაშინგტონი დღეს„ 18.00 მხ/ფ „უდიერმო სასიძო„ 20.00 კონცერტი: „მეხომ ლოცვად მინდა...„ პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი 22.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ — დიმიტრი ამილახვარი 23.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 23.30 „უცნობი მუსიკა„ 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ „უძღები შვილი„ (ტიტ.)

08.00 დ/ფ „ფერების სამყარო„ 2 ნაწ. 09.00 „ბრიფინგის დრო„ 10.00 მხ/ფ „ოქროს კომპასი„ (ნ.კიდმანი) 12.00 მხ/ფ „ინდე საკუთარ თავს„ (ა.ბანდერასი) 14.00 მხ/ფ „ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდერი„ (დ.რედკლიფი) 16.30 ქარ. დ/ფ „გურული ფირალები„ 17.00 მხ/ფ „სულელების ოქრო„ (კ.ჰადსონი) 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — „გრეის კელი„ 20.00 მხ/ფ „მის კონგენიალურობა-2„ (ს.ბალოკი) 21.50 ქარ. მხ/ფ „სიყვარული„ ხანძარი და პომპეიერო„ 23.00 მხ/ფ „V ნიშნავს ვენდეტას„ (ტიტ.) (ნ.პორტმანი)

08.00 ან/ფ „მონსტრები და მეკობრეები„ 1„ 2 სერ. 09.00 მხ/ფ „პრინცესას თავგადასავალი„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან/ფ „ავატარი„ 12.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 სერ. „როზინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი„ 1 სერ. 14.20 იმედიატორი (გ/ჩ) 15.50 დოკ/ფ „ელექტრონავტები„ (გ/ჩ) 17.50 სერ „მაგნატები„ 18.50 სერ. „აპრძალული სიყვარული„ 21.00 ქ/სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ „კარლიტოს გზა„ (ა.პაჩინო) 01.20 მხ/ფ „პირდაპირი მოქმედება„ (დ.ლუნდგრენი) (ტიტ.) 02.55 მუსიკა

08.00 კურიერიჰ დაიჯესტი 08.30MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„ 09.30 შერეკილები 10.30 სერ. „ჩემი ცოლის დაძალები„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.30 ქართ. მხ/ფ 16.30 „ნანუკას შოუ„ - (გ/ჩ) 19.00 ყველაზე ჭკვიანი. 20.05 სერ. „ერთგულების ძალა„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაძალები„ 00.30 ჩემპიონთა ლიგის (ფინალი) 01.00 „Latin Angels" 01.30 სერ. „ბრიმი„ 02.00 მხ/ფ კლიპები

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „ყველაზე, ყველაზე„ 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „მონანიება„ II ნაწ. 13.25 ჩვენი ბიბლიოთეკა 13.55 ქრისტიანული სწავლება 14.05 დოკ/ფ „პიანისტი„ ალექსანდრე კორსანტია 15.10 ოპერა-„ლუკრეცია ბორჯა„ 18.10 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული აღბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 კარაბადინი 22.25 პორტრეტი „ერთსულოვნების„ გალერეიდან 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ბინოკლი„ 00.40 „ბინოკლი„ 01.10 სიმღერის კვალდაკვალ 01.45 კონცერტი - „ეგარი„

მაესტრო 7.00 ახალი ამბები კოლაჟი 7.30 მულტფილმი 8.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 9.30 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ (გამ.) 11.00, 18.45, 23.00, 3.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.45, 0.30, 4.30 თოქ-შოუ „პრეს-პრესი„ 0.00, 2.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 1.30, 5.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 2.30 „ღია კარის დღე„ 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„

კვირა 26 მაისი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 08.20 საბ/ფ „კიტი კიტრიჯი: ამერიკელი გოგონას ოცნება„ 10.00 „ეტალონი„ 11.00 საბ. ტ/სერ „ზინგზილები„ 12.00, 16.00 „მოამბე„ 12.30 „ჩვენი ფერმა„ 13.00 „სპექტაკლის დრო„ — შ. რუსთაველის თეატრის სპექტაკლი: „მეფე ლირი„

ევროკომისიამ უკრაინას მწვანე შუქი აუნთო

ექსპერტები, რომლებიც უკრაინა-ევროკავშირის ურთიერთობებს თვალს ადევნებენ, მაისის შუა რიცხვებს მოუთმენლად ელოდნენ. ამ დროს ევროკომისიას უნდა დაედო დასკვნა: რამდენად მზადაა უკრაინა ევროკავშირის ასოცირებული წევრის სტატუსის მისაღებად. ევროკავშირის ხელმძღვანელობაც ამის საფუძველზე გადაწყვეტდა, დაიწყოს თუ არა უკრაინასთან შესაბამისი ხელშეკრულების რატიფიკაცია.

– რუსეთმა ყველაფერი იღონა, რათა კომისიის დასკვნა უარყოფითი ყოფილიყო, – თვლის პოლიტოლოგი სერგეი ნაბოჟენკო, – თუმცა ყოველივე უშედეგო გამოდგა, ევროკომისიამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო და ჩვენს ქვეყანას მწვანე შუქი აუნთო.

ევროკომისიის დასკვნაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ ხანს უკრაინაში დემოკრატიის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის ბევრი რამ გაკეთდა, რის გამოც კომისია ევროკავშირის ხელმძღვანელობას ურჩევს, დაიწყოს უკრაინასთან შესაბამისი ხელშეკრულების რატიფიკაციის პროცესი. კიევში ამან საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია.

– ბევრი სკეპტიკოსი აღნიშნავდა, რომ უკრაინა-ევროკავშირს შორის დიალოგი გაიყინა. თავდაპირველად თითქოს ასეც იყო, მაგრამ ჩვენ წაგებული თამაშის შემობრუნება შევძელით. ახლა ასოცირებული წევრის სტატუსის მიღების შანსი უკვე 70 პროცენტია, – თვლის უკრაინელი პოლიტიკოსი კატერინჩუკი.

დასავლეთში ასეთ აღფრთოვანებას არ იზიარებენ. „დოიჩე ველეს“ კომენტარში ნათქვამია, რომ ევროსაბჭოს გადაწყვეტილება ტექნიკური ხასიათისაა და ეს როდი ნიშნავს იმას, რომ უკრაინასთან ხელშეკრულება აუცილებლად დაიდება.

– ახლა ყველაფერი უკრაინის ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, – თვლის „დოიჩე ველე“.

უკრაინაში ევროკავშირის წარმომადგენელი იან ტომბინსკიც მიიჩნევს, რომ ვილნიუსის სამიტამდე უკრაინას დიდი სამუშაოს ჩატარება მოუწევს.

– ხელშეკრულების საკითხი რომ დღეს წყდებოდეს, უკრაინას აუცილებლად უარს ეტყოდნენ, – განაცხადა ტომბინსკიმ „რადიო თავისუფლების“ კორესპონდენტთან საუბარში, – აუცილებელია ძირეული სტრუქტურული რეფორმები. უკანასკნელ ხანს ამ მხრივ უკრაინაში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს საკმარისი არაა.“

ტომბინსკი აღნიშნავს, რომ დემოკრატიული რეფორმების გატარებას დიდი დრო სჭირდება, თუმცა სათანადო საკანონმედებლო ბაზა დღესვე უნდა შეიქმნას და პირველი რეალური ნაბიჯებიც გადაიდგას.

– მესმის, რომ რეფორმა მტკივნეული პროცესია, – აღნიშნავს ტომბინსკი, – ამიტომ როგორც უკრაინის ხელისუფლებამ, ისე ოპოზიციამ პასუხისმგებლობა ერთად უნდა აიღონ“.

რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ აქციებს აძლიერებს

უკრაინაში ამ სიტყვებმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ზოგიერთი პოლიტოლოგი თვლის, რომ სანამ ხელისუფლებაში იანუკოვიჩის გუნდი იმყოფება, ჭეშმარიტი რეფორმების გატარება ვერ მოხერხდება.

– იანუკოვიჩისათვის პრიორიტეტულია არა ევროინტეგრაცია, არამედ ძალაუფლების შენარჩუნება და 2015 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოგება, ეს კი დემოკრატიული მეთოდებით შეუძლებელია, – ამტკიცებს პოლიტოლოგი ფისენკო, – რადგან იანუკოვიჩის რეიტინგი განუხრელად ეცემა.

სხვები ყურადღებას უკრაინაში არსებულ მრავალრიცხოვან რუსულ აგენტურაზე ამახვილებენ. მართლაც ეს ხალხი თავს აბსოლუტურად დაუსჯელად გრძნობს. გაერთიანება „სვობოდას“ ლიდერის ოლეგ ტიაგნობოკის აზრით, უკრაინული საინფორმაციო სივრცის 75 პროცენტი რუსეთის გავლენის ქვეშაა. მოსკოვის აგენტებს წამყვანი პოზიციები უკავიათ არმიაში, უშიშროების სამსახურში, მთავრობაში. ტიაგნიბოკი კონკრეტულ გვარებსაც ასახელებს: განათლების მინისტრი ტაბაჩნიკი, პარლამენტის დეპუტატი კოლესნიჩენკო და ა.შ.

– რუსული აგენტურის პოზიციები მმართველი რეგიონების პარტიაშიც ძლიერია, – ამტკიცებს ტიაგნიბოკი, – მეტიც, იქაურობა რუსი შოვინისტებითაა გატენილი!

გაზეთი „დენ“-ი მიიჩნევს, რომ უკრაინა-ევროკავშირის დაახლოების პროცესი რუსული მეხუთე კოლონის გააქტიურებას გამოიწვევს. გაზეთი ყურადღებას ამახვილებს კუჩმას ადმინისტრაციის ყოფილი თავკაცის ვიქტორ მედვედჩუკის ფიგურაზე. მედედჩუკი მუდამ მხარს უჭერდა უკრაინის ფედერალიზაციას, ორენოვნების შემოღებას, გამოდიოდა უკრაინელი ნაციონალისტების წინააღმდეგ და ა.შ. უკანასკნელ ხანს მედვედჩუკი მკვეთრად აკრიტიკებს იანუკოვიჩს და უკრაინის დსთ-ს საბაჟო კავშირში შესვლას მოითხოვს.

– ამით იანუკოვიჩის წინააღმდეგ ფრონტი გაიხსნა, – წერს „დენ“-ი, – თუმცა საქნე მარტოოდენ ამით არ დასრულდება. მოსალოდნელია იმ პირთა გააქტიურებაც, რომლებიც იანუკოვჩის გარემოცვაში იმყოფებიან, ან რეგიონების პარტიაში რაიმე პოსტი უკავიათ.“

მართლაც ამ სტატიის გამოქვეყნებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ დონეცკის მერმა და იქაური რეგიონების პარტიის ფილიალის ხელმძღვანელმა ლუკიანჩენკომ განაცხადა, რომ უკრაინის ბიუჯეტი დონბასის წყალობით ივსება და დასავლეთ უკრაინის დოტაციაც ამის გამო ხერხდება. ნაციონალისტები, რომლებიც ლვოვის, ივანოფრანკოვსკის, ტერნოპოლის ოლქების ხელმძღვანელობაში იმყოფებიან, ჩვენს დოტაციებს ბანდერელთა მოძრაობის ვეტერანების დახმარებაზე ხარჯავენ, რაც კატეგორიულად მიუღებელიაო.

– მივმართავ მთავრობას, რათა ამ უმსგავსობას ბოლო მოეღოს, – განაცხადა ლუკიანჩენკომ.

„დონბასი უკრაინას ინახავს“ – ეს თეზისი არახალია. პირველად ის 1918 წელს გამოითქვა, როცა არტიომისა თუ სხვა ბოლშევიკების ძალისხმევით (მათ მხარს უჭერდა სტალინი) ე.წ. „დონეცკ – კრივოი-როგის რესპუბლიკა“ შეიქმნა. ამ „სიბრძნის“რეანიმაცია 1992 წელს მოხდა, როცა კვლავ იქნა წამოწეული „დონეცკ-კრივოი-როგის რესპუბლიკის“ აღდგენის იდეა. მისი პროპაგანდა მთელი ოცი წლის მანძილზე არ წყდებოდა. თუკი აქამდე ეს ოდიოზური პოლიტიკანების (კორნილოვი, ჩაროდეევი, ვიტრენკო, ბუზინა და ა.შ.) მეშვეობით ხორციელდებოდა, ახლა სეპარატიზმის მებაირაღეად ოფიციალური პირი, დონეცკის მერი, მოგვევლინა.

– ლუკიანჩენკოს განცხადება სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა, ხალხის ყურადღება სხვა რაიმეზე გადაიტანონ, – თვლის პოლოტოლოგი სერგეი ნაბოჟენკო, – ეკონომიკური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, ხელისუფლებაც თამაშობს, თუმცა ასეთი თამაშები შესაძლოა როგორც ხელისუფლებისათვის, ისე ქვეყნისათვის საბედისწეროდ დასრულდეს“.

იგივე შეიძლება ითქვას ე.წ. „ანტიფაშისტური მოძრაობის“ დაწყებაზეც, რაც იანუკოვიჩს მასთან დაახლოებულმა პირებმა ურჩიეს. საქმე ისაა, რომ ეროვნულ-დემოკრატიულმა ოპოზიციამ მთელ უკრაინაში იანუკოვიჩის საწინააღმდეგო მასობრივი მიტინგები მოაწყო. უკრაინის პრეზიდენტის გარემოცვაშიც აღმოჩნდნენ პირები, რომლებმაც „ფაშისტებად“ გამოაცხადეს გაერთიანება „სვობოდა“ და მთელი ეროვნულ-დემოკრატიული ოპოზიცია. ზოგიერთი თავგაცხელებული იანიკოვიჩს ურჩევდა, აეკრძალა როგორც „სვობოდა“, ასევე „უდარი“ (ლიდერი ვიტალი კლიჩკო) და „ბატკივშჩინა“, რომლის ლიდერადაც კვლავ რჩება პატიმრობაში მყოფი იულია ტიმოშენკო. საბედნიეროდ იანუკოვიჩმა ამაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ ე.წ. „ანტი-ფაშისტური მიტინგების“ ჩატარებას დათანხმდა. პირველი ასეთი მიტინგი 16 მაისს სიმფეროპოლში ჩატარდა. 18-ში მსგავსი აქცია უკვე კიევშია დაგეგმილი, შემდეგ ის უკრაინის სხვა ქალაქებშიც ჩატარდება. თავის მხრივ ოპოზიცია თავის მიტინგებს ჩაატარებს. უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრო ხმამაღლა გამოთქვამს შეშფოთებას, რომ ასეთი აქციებისას შეტაკების ალბათობა დიდია

– ხელისუფლება თავის საშიშ თამაშებს განაგრძობს, – თვლის ნაბოჟენკო, – „სვობოდას“, „უდარსა“ და „ბატკივშჩინას“ ხომ ძლიერი პოზიციები აქვთ როგორც ცენტრალურ, ისე დასავლეთ რეგიონებშიც. მათი ფაშისტებად გამოცხადება უკრაინის რეგიონებს შორის შუღლს აღვივებს და ქვეყნის დაქუცმაცებისკენაა მიმართული. იანუკოვიჩს საკმაოდ აქვს ინტელექტი და ალღო, აი, განათლება კი აშკარად აკლია. ამიტომ ხშირად, როგორც ქვეყნის, ისე საკუთარი თავის, საზიანო ნაბიჯებს გადაადგმევინებენ ხოლმე. ასე მოხდა იულია ტიმოშენკოს დაპატირების შემთხვევაში. ასეა ახლაც“.

ამჟამად აჟიოტაჟია ატეხილი უკრაინის გაზგამანაწილებელი სისტემის გარშემო. პრემიერმა აზაროვმა პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც გაზგამანაწილებელი სისტემის პრივატიზაციაზე აკრძალვის მოხსნას გულისხმობს. ოპოზიცია ამას გადაჭრით წინ აღუდგა. „პრივატიზაციის აკრძალვა ჩვენი ენერგეტიკის გაზპრომის ხელში გადასვლას ნიშნავს! – განაცხადა ოლეგ ტიაგნიბოკმა. „სვოვოდას“ ლიდერმა ყურადღება ენერგეტიკის მინისტრის განცხადებაზე გაამახვილა. მინისტრმა, როგორც ცნობილია, განაცხადა, რომ რუსულ გაზთან დაკავშირებული პრობლემები უახლოეს ორ კვირაში მოგვარდება.

– რის ხარჯზე აპირებენ ამის გაკეთება? ცხადია, რომ უკვე შედგა გარიგება და ჩვენი ენერგეტიკა რუსების ხელში შეიძლება გადავიდეს., – თვლის ტიაგნიბოკი, – თუკი ეს მოხდა, ევროინტეგრაციასაც წერტილი დაესმება. სამაგიეროდ იანუკოვიჩის შანსები 2015 წლის არჩევნებში გაიზრდება. უფრო სწორად, არჩევნების ნაცვლად ჩატარდება შოუ, ვიქტორ ფიოდოროვიჩიც საკუთარ თავს აირჩევს!

უკრაინის დაშლისა და მის ენერგეტიკაზე კონტროლის დაწესების გარდა კრემლი ცდილობს კიევს უახლოესი მოკავშირენიც ჩამოაშოროს. როგორც ცნობილია, ევროინტეგრაციის საკითხში პოლონეთი უკრაინის უმთავრესი ლობისტია. რუსეთიც შეეცადა კიევსა და ვარშავას შორის შუღლი ჩამოეგდო. პოლონეთის პარლამენტის რამდენიმე დეპუტატმა მოითხოვა, რათა უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაცია (ოუნი) და უკრაინის აჯანყებულთა არმია (უპა) დანაშაულებრივ ორგანიზაციებად გამოეცხადებიათ, აქაოდა მეორე მსოფლიო ომის დროს პოლონელთა ეთნო – წმენდა განახორციელესო. დეპუტატებმა შესაბამისი კანონპროექტი პარლამენტში შეიტანეს. ამან უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა განაპირობა.

– რა თქმა უნდა, – თვლის „რადიო თავისუფლება“, მეორე მსოფლიო ომის დროს პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობები რთული იყო, მაგრამ დღეს ამისი გარჩევა ისტორიკოსების და არა პოლიტიკოსების საქმეა!

ამრიგად, ევროკომისიის გადაწყვეტილებამ უკრაინას მწვანე შუქი აუნთო. ევროინტეგრაციის რეალური კონტურებიც გამოიკვეთა. პასუხად რუსეთმა უკრაინაში არსებული თავისი აგენტურა გააააქტიურა. უდავოა, რომ მომავალში ეს კიდევ უფრო გაიზრდება.

– თანახმად ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციისა, კრემლმა უკრაინის ევროინტეგრაციის დასაბლოკად მილიონობით დოლარი გამოყო, – განაცხადა „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგმა ბონდარენკომ, – უკრაინაში არსებობს ძლიერი პრორუსული ლობი, რომელიც ქვეყნის რუსეთ-ბელორუსია – ყაზახეთის კავშირთან მიერთებას ესწრაფვის. დაგეგმილია ფართომასშტაბიანი აქციები, რაც ითვალისწინებს როგორც ანტიუკრაინულ პროპაგანდას, ასევე მასობრივ არეულობებს, ტერაქტებს, შეტაკებების პროვოცირებასა და სეპარატიზმის აზვირთებას“.

რუსული მეხუთე კოლონის გასანეიტრალებლად კი კომპლექსური ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი. შეძლებს ამას პრეზიდენტი იანუკოვიჩი?

ნიკა თევზაძე

სამგლოვიარო განცხადებები

დავით საბაშვილი

დღეს, 18 მაისს, 40 დღე შესრულდა ჭეშმარიტი მამულიშვილის, ღირსეული ქართველი კაცის, ძვირფასი ადამიანის – დავით საბაშვილის გარდაცვალებიდან, გვჯერა და გვწამს, რომ იგი მარადიული ცხოვრების გზას ამაყად და ღირსეულად შეუდგა, რადგან ამქვეყნიური ცხოვრება ნიადაგ წვაში, შრომაში, ფიქრში და სხვებზე ზრუნვაში სამაგალითოდ და უმწიკვლოდ გალია.

სამშობლო, ოჯახი, ადამიანი იყო მისი ცხოვრების მთავარი მიზანი, დღესაც მოწიწებით საუბრობენ დავით საბაშვილზე და აღნიშნავენ, რომ იგი მთლიანად სავსე იყო იმ ღირსებით, რასაც ქართველობა, კაცურ-კაცობა ჰქვია, გურიაში „საბათი'' მოიხსენიებენ და დღესაც დიდი სიყვარულით სვამენ მის სადღეგრძელოს.

ამიერიდან კი მოსაგონარს შესვამენ და მის სულს აუნთებენ წმინდა სანთლებს. ღვთისაგან რჩეულს, გვჯერა, მისი მადლი და მფარველობა არ მოაკლდება.

ჩვენც, შენი ოჯახის ყველა წევრი, მეუღლე, შვილები, ოჯახებით, შვილიშვილები და შვილთაშვილები ვამაყობთ შენი განვლილი გზით.

გვიჭირს უშენობა, გვენატრები და გვიყვარხარ. შენ დავიწყება არ გიწერია, შენნაირი კაცები საუკუნეში ერთხელ იბადებიან.

ღმერთო, ტკბილმადლიანო, ნათელში ამყოფე, მარადიულ სასუფეველში მიუჩინე ადგილი შენს რჩეულ შვილს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, ღირსეულ ქართველს, რომელსაც დიდი დავით საბაშვილი ჰქვია მარადის!

ოჯახი და ახლობლები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

რევაზ ცერცვაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მზევინარ თავბერიძეს და ონისე ცერცვაძეს, მეუღლისა და მამის გარდაცვალების გამო.

ოჯახის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯემალის ძე დიხამინჯია

პანაშვიდი: 17-18 მაისს, 18 საათზე. მისამართი: დიღმის მასივი, ჩაჩავას 6.

დაკრძალვა: 19 მაისს, 15 საათზე.

გამოსვენება ნაქულბაქევის წმ. გიორგის სახელობის დედათა მონასტრიდან. მისამართი: დიღომი 8. გრიგოლ ფერაძის ქუჩა, „კარფურის“ უკან.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარეტბა საქართველოში; 2. ხვეწნა, მუდარა; 3. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერებები; 4. იაპონური, ლოგიკური მაგიდის სათამაშო; 5. ფრანგული, ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია; 6. აფრიკული მოლაპარაკე თუთიყუში; 7. ახალი ზელანდიის აღმომჩენი ჰოლანდიელი ზღვაოსანი; 10. მატარებლის სადგომი; 11. აეროპორტი ბრიუსელში; 12. შვეიცარიის ძველი სახელწოდება; 13. უძველესი ქალაქი იმერეთში; 16. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 18. კვიპროსის დედაქალაქი; 19. გია დანელიას კინოკომედია; 21. მტაცებელი ფრინველი; 24. აქლემის ბეწვისაგან მოქსოვილი ხალიჩა.

თარაზულად: 1. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 3. მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 8. უნივერსიტეტი მადრიდში; 9. მცირე ალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი; 14. მდინარე ბერლინში; 15. ზამბარიანი მოწყობილობა აკრობატული ხტომებისათვის; 17. უსახლკარო, ღარიბი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 20. გეომეტრიული ფიგურა; 22. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია; 23. სველ კედელზე შესრულებული ნახატი; 25. უკრაინული ბორში; 26. რძის პროდუქტი; 27. საცხენოსნო შეჯიბრება; 28. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად; 1. ჰუნდაი; 2. ეგზემა; 3. ვარჯი; 5. გობი; 6. როლერი; 8. ბარონი; 11. მაჟესტიკი; 13. გლუკოზა; 14. იაშვილი; 15. გინიოლი; 19. დოჟი.

თარაზულად: 1. ჰაჯიბეკოვი; 4. ჩონგური; 7. მალხაზი; 9. ჯანაოზი; 10. იმამი; 12. ბროსნანა; 16. ყინწვისი; 17. პუნსონი; 18. კვაზიმოდო; 20. კამვოლი; 21. ყაჭი; 22. მიუზიკლი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბუკე; 2. ომი; 3. ბოროდინი; 4. შუ; 5. ცუცხვათი; 6. პელე; 7. ცინიზმი; 10. მესი; 11. ბალახვანი; 12. კაპიტანი; 13. ჯაზი; 16. სტამბა; 18. ქორწილი; 19. შტანგა; 21. რაგბი; 24. მახრა.

თარაზულად: 1. ბაჯაღლო; 3. ბეკეში; 8. თუშეთი; 9. კომო; 14. ასთმა; 15. ზანავი; 17. პუფი; 20. ნახირი; 22. თქორი; 23. ტატამი; 25. კიი; 26. მოლა; 27. მწდე; 28. ხორნაბუჯი.

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 მაისი

- აშშ დოლარი — 1,639
- ევრო — 2,1089
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4941
- 100 რუსული რუბლი — 5,2151

ამინდის პროგნოზი 18 მაისისთვის

25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

21 მაისიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

პატრიარქები

ასტროპროგნოზი

18 მაისი – წარმატებული დღეა

ვერძი – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ლომი** – ყველა საქმე გამოგდით, რასაც ხელს მოჰკიდებთ. **ქალწული** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** – თქვენი საქმეები კარგად მიდის, არ ელოდით. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – დაისვენეთ, გაერთეთ, გადაღლილი ხართ. **მერწყული** – დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ. **თევზები** – წარმატებული დღეა, იაქტიურეთ.

19 მაისი – შემოქმედებითი დღეა

ვერძი – ფულის პრობლემა არ გაქვთ, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **კურო** – უჩვეულო დღეა, ცხოვრების შეცვლა გინდათ. **ტყუპები** – კითხვები განუწყებთ, მალე ყველაფერს გაიგებთ. **კირჩხიბი** – მეგობრებისგან ახალ ამბებს გაიგებთ. **ლომი** – თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ, გახარებული ხართ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ, აკონტროლეთ ჯანმრთელობის მდგომარეობა. **ღრიანკალი** – ახლობლები სიურპრიზს გიმზადებენ. **მშვილდოსანი** – ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. **თხის რქა** – ყველა საქმეს ბილომდე მიიყვანთ, უფროსობა დაგაჯილდოვებთ. **მერწყული** – ნურავის დაელოდებით, საქმე თქვენ მოაგვარეთ. **თევზები** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, პრობლემა დაგავიწყდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

გალატაკებული ამერიკელი წამში მილიონერად იქცა

ჩიკაგოს გარეუბნის მცხოვრები, რიკარდო სერეზო, რომელსაც უამრავი ვალები ჰქონდა და ბინიდან გამოსახლების წინაშე იდგა, ლატარეის ბილეთის წყალობით წამში მილიონერად იქცა. ბილეთი მან რამდენიმე თვის წინათ იყოდა, ხოლო მისმა მეუღლემ იგი ამასწინათ ნამცხვრების ყუთში იპოვა, – იტყობინება „ფოქს-ნიუსი“.

სერეზოს თქმით, მეუღლემ სულ 11 ბილეთი იპოვა, როდესაც სამზარეულოს დალაგება დაიწყო და მას შემოწმება სთხოვა. ადგილობრივ მინი-მარკეტში ნაყიდმა ერთ-ერთმა ლატარეის ბილეთმა მფლობელი გაამდიდრა; აღმოჩნდა, რომ მასში თებერვლის გათამაშების ყველა, ექვსივე ციფრი დაემთხვა.

მოგებამ 4,85 მილიონი დოლარი შეადგინა. ამ დღეებში გამარჯვებულს თანხა საზეიმო ვითარებაში გადასცეს.

სერეზო ჯერჯერობით არაფერს ამბობს, როგორ გამოიყენებს ამ სიმდიდრეს. ყოველ შემთხვევაში, ვალების გადახდას ნამდვილად მოახერხებს.

რაფაელ ვარანმა სანაკრებო კარიერა საქართველოდან დაიწყო

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, როდესაც ერთმანეთს მადრიდის „რეალი“ და დორტმუნდის „ბორუსია“ დაუპირისპირდნენ, მოედანზე უამრავი ვარსკვლავი და ტოპ ვარსკვლავი იყო, თუმცა მათ შორის გამოსარჩევია ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე პერსპექტიული რაფაელ ვარანი. 19 წლის ახალგაზრდა ფრანგი დღითიდღე უფრო მაღალი დონის და კლასის ფეხბურთელი ხდება.

ვარანი მადრიდის „რეალმა“ 2011 წლის ზაფხულში ფრანგული „ლანსიდან“ 10 მილიონ ევროდ შეიძინა. ფრანგი ფეხბურთელი მაშინ 18 წლის იყო. სადებიუტო მატჩში ვარანმა „რაიო ვალეკანოს“ ძალიან ლამაზი გოლი გაუტანა, და გახდა ყველაზე ახალგაზრდა უცხოელი ფეხბურთელი, ვისაც „რეალის“ შემადგენლობაში გოლი გაუტანია. ძალიან ძნელია ითამაშო ისე, რომ 18 წლის ასაკში მადრიდის „რეალში“ მოხვდე. ვარანის თამაშში იგრძნობა ის მნიშვნელოვანი თვისება, რაც უმაღლესი დონის ფეხბურთელებს მეტად, ახალგაზრდა გამოუცდელ ფეხბურთელებს კი ნაკლებად ახასიათებთ. ვარანი თავის ასაკთან შედარებით, ბევრად ბრძნულად და დამაჯერებლად მოქმედებს. თამაშის მიმდინარეობისას ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული ია. სერხიო რამოსთან და პეპესთან ერთად, ფრაგმა ძალიან სანდო დაცვის ხაზი შექმნა და „რეალის“ წარმატებას დიდწილად მათი კარგი თამაში განაპირობებს.

ცალკე საუბრის თემაა ვარანის თამაში „ბარსელონას“ წინააღმდეგ. მისი დებიუტი კატალონიელების წინააღმდეგ იანვარში, ესპანეთის თასის ეგიდით გამართულ მატჩში შედგა. იმ თამაშში ფრანგმა ფეხბურთელმა გოლიც გაიტანა და დაცვაშიც საიმედოდ გამოიყურებოდა. განმეორებითი შეხვედრის წინ, ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ ვარანი გოლის გატანას „კამპ ნოუზეც“ მოახერხებდა, თუმცა მან „ბარსა“ არც ამჯერად დაინდო და ზედიზედ ორ „ელ კლასიკოში“ გაიტანა გოლი.

ბარსასთან გამართული შეხვედრის შემდეგ ვარანის თამაშზე კომენტარი გააკეთა ლეგენდარულმა ფრანგმა მცველმა, ბიქსენტ ლიზარაზუმ.

– ჩვენ ვსაუბრობთ მადრიდის „რეალის“ ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელზე, რომელმაც მოახერხა და პეპესთან ერთად ღირსეული ადგილი დაიკავა დაცვის ცენტრში. მთელ რიგ შემთხვევებში იგი პეპეზე შთამბეჭდავად და კარგად გამოიყურება. ასეთ დონეზე თამაში მის ასაკში ადვილი სულაც არ არის. მისი თამაში ბარსელონასა და მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ იყო განსაკუთრებულად შთამბეჭდავი და ბრწყინვალე.

2013 წლის მარტში ძალიან საინტერესო მასალა მოამზადა მარკას ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, რომელმაც მადრიდის „რეალის“ ყველა დროის საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელებზე გააკეთა სტატია. ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ასეთ მცირე დროში და ასეთ პატარა ასაკში ვარანს ისეთი ფეხბურთელების გვერდით დააყენებდნენ, როგორებიც არიან: ზინედინ ზიდანი, ლუიშ ფიგუ, კრიშტიანო რონალდო, მიქაელ ლაუდრუპი და სხვები.

ასეთი დიდი ნდობა და მხარდაჭერა ვარანმა სწორედ თავისი კარგი და საიმედო თამაშით მოიპოვა.

რაც შეეხება მის სანაკრებო კარიერას. ქართველი გულშემატკივრებისთვის მისი დებიუტი განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი უნდა იყოს. რადგანაც ვარანმა „მამლების“ შემადგენლობაში პირველად 2013 წლის 22 მარტს საქართველოს წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში ითამაშა. ალბათ გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იმ შეხვედრაშიც ისევე, როგორც სხვა დანარჩენ შეხვედრებში, ვარანი ერთ-ერთი გამორჩეული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებში პირველ მატჩს ატარებდა არ ეტყობოდა არანაირი ნერვიულობა და დაბნეულობა. ფრანგები ვარანს ნაკრების მომავალ კაპიტნად მიიჩნევენ და თუ გავითვალისწინებთ მის თვისებებს და სანდო თამაშს, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ უახლოეს მომავალში ნაკრების „თავი“ სწორედ მადრიდის „რეალის“ მცველი გახდეს.

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. რაიმე ღირსშესანიშნავი თარიღის საზეიმო აღნიშვნა; 2. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე აგური; 3. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი; 5. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 6. დარიშხანის საბადო ამბროლაურის რაიონში; 8. ამერიკული ჯიპი; 11. გონიოს ციხესიმაგრის ძველბერძნული სახელწოდება; 13. ქართული ტელეკომპანია; 14. სომხეთის დედაქალაქი; 15. ხურდა ფული სირია, იორდანიასა და ლიბანში; 19. იაპონური ურითმო ლექსი.

თარაზულად: 1. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 4. წმინდა ოქრო; 7. ერთ-ერთი რელიგია; 9. პროსპერ მერიმეს მოთხრობა; 10. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 12. ლითონის კორპუსიანი ბარომეტრი; 16. ისტორიული ციხესიმაგრე ალგეთის ხეობაში; 17. ამერიკული ნავთობკომპანია; 18. მოდუღებული ტყემლის მჟავე, სქელი წვენი; 20. ალპინისტთა წრიაპიანი ფეხსაცმელი; 21. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 22. მწვერვალი კავკასიონზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა